პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ორგანო. საქართველოს კომუნისტური პარტიის ბაკოს და სრულ. საქართ. ს., ს., ს.-აზრ. და მაბარულთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ოფიციალური.

რედაქცია: ობილისი, კრუშენშტეინის ქ. № 4. რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მიღების № 19 საერ. №

მთავარი კანტორა: ობილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული). ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: საქართველოში 100 000 მ. ქართ. ბონებით. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 5000 მან.

ქართ. ბოლშევიკთ ყველგან

№ 215 ოთხშაბათი, 20 სექტემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 20 სექტემბერი 1922 წ. № 215

დღეს სრულდება 4 წელი ინგლისელ თეთრგვარდიელების და მათ დაქირავებულ აგენტების, მენშევიკების და ესერების მიერ ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის გელადების გაქრა 26 კომუნარის

ამხ. ამხ. სტ. შაუმიანის, ალ. ჯაფარიძის, გრიგოლ კორგანოვის, პეტროვას, არსენ ამირიანის, ივანე ფიოლეტოვის, მეშადი აზიზბეკოვის, პაველ ზევინის, ვეზიროვის, სურენ ოსიპიანცის, ივან მალიგინის, ბასინის, ავაკიანის, სოლნცევის, კონსტანდიანის, არმენაკ ბორიანის, ნიკოლაშვილის, მეტაქსის, ა. ბოგდანოვის, ს. ბოგდანოვის, პავლუხინის, ბერგის, მ. კოტანოვას, გაბაშვილის, ტეტეოს ამარიანის & მიშნეს

ვერაგულად დახოცვის დღიდან.

ამიერ-კავკასიის პროლეტარიატი არასოდეს არ დაივიწყებს იმათ სახელებს, რომლებმაც თავისი სისხლი გაიღეს რევოლიუციის, პროლეტარიატის დიქტატურის გასამარჯვებლათ.

საუკუნო ხსენება გმირ-მებრძოლებს, რომლებიც სახელოვანათ დაეცნენ რევოლიუციის საღარაჯოზე.

20 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი გამართავს რუსთაველის თეატრში

სამოქალაქო პანაშვიდს

„26 ბაკოელ კომისრების“

ხსოვნის აღსანიშნავად.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი.

(2—2)

26 კომუნარის ხსოვნას

ოთხი წლის წინედ, ბაქოს პროლეტარიატი, იცლებოდა რა სისხლიდან ოსმალეთის ფაშების შემომტევ ურდოებთან უთანასწორო ბრძოლაში, განაწამები პროლეტარიატი, რომელმაც დაკარგა რწმენა თავის ძალების, შეირყა და გაყვა სოციალ-შემთანხმებლებს, რომელნიც არწმუნებდნენ მას, რომ მხოლოდ ანტანტას, ინგლისის სარდლობის სახით, შეუძლია მისი ხსნა. სახალხო კომისრებმა, ამხანაგების **ს. შაუმიანის** და **ა. ჯაფარიძის** მეთაურობით ვერ მოახერხეს მუშათა დაცემული. სულიერი განწყობილების დაძლევა და რევოლიუციონურ ბრძოლისათვის ახალი ძალების, ახალი წყურვილის ჩთაბერვა მათთვის, და ამიტომ მათ მოიხსნეს თავიანთი რწმუნებანი და უნდოდათ ბაქოდან წასვლა, მაგრამ დაკავებულ იქნენ, შემდეგ კი კრასნოვოდსკში გადაყვანილნი.

გაიგო რა კრასნოვოდსკში 26 კომისრის დაკავების ამბავი, დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიის მეთაურმა ასხაბათში, კაპიტალ-რეჯინალდ ტიგ ჯონსმა ს.-რ. ჯუნკანთან ერთად მიაღწიეს იმას, რომ იმიერ კასპიის აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელიც შესდგებოდა სოციალ-შემთანხმებლებისაგან, გასცა კომისრები ვიოთომდა ინდოეთში გადასაგზავნად, ნამდვილად კი მათი დასახვრეტად გზაზე. ამასთან ტიგ-ჯონსი არწმუნებდა კომიტეტს, რომ ეს საშინელი საქმე იქნებოდა გარემოცული „ფორმალური გარანტიებით“ და 26 კომისრის სიკვდილის შესახებ გაცემული იქნებოდა ოფიციალური მოწმობები, დადასტურებულნი „როგორიც გნებავთ საექიმო მოწმობებით“.

ამ გეგმის შესასრულებლად 19 სექტემბერს კრასნოვოდსკის საპყრობილესთან გასცეს, პეშდის გზით ინდოეთში გადასაყვანად, 26 კომისარი და იმავე ღამეს სასწრაფო მატარებელმა წაიყვანა ისინი ასხაბადის მიმართულებით. 1918 წლის 20 სექტემბერს დაახლოვებით დილის 6 საათზე მატარებელი, განვლო რა მან 200 ვერსზე მეტი, შეჩერდა სადგურ პერევალსა და აჩხა-კუიმას შორის. აქ წაყვანის და მკვლელობის ხელმძღვანელებმა გამოუცხადეს კომისრებს მათთვის გადაწყვეტილი ბედის შესახებ. ამის შემდეგ დილის გარიჟრაჟზე ვაგონიდან გამოყვანილი კომისართა პირველი ჯგუფს, 8 კაცისაგან შემდგარი, უცბად გამოაცალეს სიცოცხლე. მეორე ჯგუფი, ალბად მიიღო რა მან მხვდველობაში ქვიშიანი გორაკებით დაფარული ადგილის სართი, სადაც ზოგიერთს შეიძლება აღეძრა იმედი ტყვიიდან თავის დაფარვისა, შეეცადა გაქცევას, მაგრამ თოფის ხშირი ტყვიებით დახვრეტილ იქნა. უკანასკნელ ჯგუფს უკვე არ უცდია გაქცევა.

გამოასალმეს რა სიცოცხლეს ყველა კომისარები, სასჯელის ამსრულებლებმა ჩაფლეს მათი გვამები ქვიშაში და დასწვეს ნივთების ნაწილი. დანარჩენი ნივთები დასწვეს უკვე მატარებელში გზაზე, უკან დაბრუნებისას.

ასე იქნენ მოკლულნი შემდეგი ჩვენი ამხანაგები:

სტეფანე შაუმიანი რ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის წევრი, კავკასიის საგანგებო კომისარი, ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და გარეშე საქმეთა კომისარი.

ალიოშა ჯაფარიძე—ბაქოს დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა და სურსათის კომისარი, კომ. პარტიის კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი.

გრიგოლ კორგანოვი—კავკასიის არმიის რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარე, ბაქოს სახ. კომ. საბჭოს სამხედრო კომისარი, კავკასიის წითელ არმიის მთავარსარდალი, კომუნისტი.

პეტროვი—ცენტრალურ ხელისუფლების წარმომადგენელი ბაქოში, მოსკოვის რაზმის სარდალი, მემარცხ. ს.—რ.

არსენ ამირიანი—კომუნისტების ბაქოს კომიტეტის ორგანოს, „ბაქოს მუშის“ რედაქტორი.

ვანო ფიოლეტოვი—ბაქოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე, კომპარტიის კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი.

მეშადი აზიზბეკოვი—გუბერნიის კომისარი, კომუნისტი.

პავლე ზევინი—შრომის კომისარი, კომუნისტი.

ვეზიროვი—მიწადმოქმედების კომისარი, მემარცხენე ს.-რ.

სურენ ოსიპიანცი—„ბაქოს საბჭოს უწყებების“ რედაქტორი კომუნისტი.

ივანე მალიგინი—სამხედრო საბჭოს წევრი, კომუნისტი.

ბასინი—საბჭოთა მუშაკი, კომუნისტი.

ბ. აკაკიანი—ქალ. ბაქოს კომენდანტი, კომუნისტი.

სოლნცევი—საბჭოთა მუშაკი, კომუნისტი.

კონსტანდიანი—სასურსათო კომისარის ამხანაგი, კომუნისტი.

არმენაკ ბარიანი—საბჭოთა მუშაკი, კომუნისტი.

ნიკოლაშვილი—საბჭოთა მუშაკი, კომუნისტი.

მეტაქსა—საბჭოთა მუშაკი, კომუნისტი.

ა. ბოგდანოვი—საბჭოთა მუშაკი, კომუნისტი.

ს. ბოგდანოვი—საბჭოთა მუშაკი, კომუნისტი.

პავლუხინი—საბჭოთა მუშაკი, მეზღვაური, კომუნისტი.

ბერგი—საბჭოთა მუშაკი, მეზღვაური, კომუნისტი.

მ. კოტანოვი—საბჭოთა მუშაკი, კომუნისტი.

გაბაშვილი—ბრიგადის კომისარი, კომუნისტი.

ტატევოს ამარიანი—საბჭოთა საკავალერიო რაზმის კომისარი, კომუნისტი.

მიშნე—საბჭოთა მუშაკი, კომუნისტი.

„პროლეტარიატი არ შეიძლება დაიღუპოს, იგი იპოვის თავის თავში ძალას და გაიმარჯვებს“.—ასეთია ამხ. ალიოშა ჯაფარიძის უკანასკნელი ფრაზა ბაქოს საბჭოში, თავის რწმუნებათა მოხსნის დროს წარმოთქმული.

წინასწარმეტყველური სიტყვებია! ბაქოს პროლეტარიატმა გაიმარჯვა მაგრამ მან ძვირფასი მსხვერპლით გამოისყიდა თავისი დროებითი სისუსტე, მან დაკარგა თავისი საუკეთესო წინამძღოლები.

და ეხლაც, როგორც ოთხი წლის წინეთ გულის ტკივილით და მკვლელობისადმი სიძულვილის გრძნობით ივონებს თავის დაღუპულ ამხანაგ—მებრძოლებს ბაქოს, ამიერკავკასიის და რუსეთის პროლეტარიატი.

ოთხი წლის განუწყვეტელმა ბრძოლამ და ძალღონის არა ადამიანურმა დაჭიმვამ დაიჩლუნგა ჩვენი მგრძნობელობა, ბევრ ამბებს ჩვენ განვიცდით არა ისეთი სიმწვავით, როგორც საჭიროა, მაგრამ დაღუპვა ამ ამხანაგების, ამ მამაც მებრძოლების, ცეცხლოვან კომუნისტების, რომლებმაც რევოლიუციის პირველივე დღეებიდან დაიკავეს ფრიად საზიფათო ადგილები და მედგრად იცავდნენ მათ ბოლომდე, მათი დაღუპვა ტოვებს ჩვენს გულში მარად სისხლ-მდინარე ჭრილობას და ტკივილი მათ დაკარგვაზე სამუდამო დარჩება.

რისთვის იყვნენ ისინი მოკლულნი? მათ ხომ ნებაყოფლობით ჩამოიხსნეს ძალა-უფლება, ხელი აიღეს თავიანთ რწმუნებებზე და ბრუნდებოდნენ რუსეთში.

რა საშიშროებას წარმოადგენდნენ ეს 26 უიარაღო ადამიანი ინგლისის სარდლობისათვის, ყვითელ სოციალ-გამცემლებისათვის? ნუ თუ ამ მკვლელობით ფიქრობდნენ მსოფლიოში უდიდეს რევოლიუციის შეჩერებას?

ამ საძაგელ მკვლელობაში მოსჩანს მხოლოდ მხდალი გაბოროტება და შურისძიება პატარა-კაცუნების, რომელნიც ცახცახობენ შიშისაგან წარმომდგარ კატასტროფის წინაშე. და ამ დაბალ ჯალათებს არ შესწევთ სიმამაცე გამოტყდნენ თავიანთ ბოროტმოქმედებაში, ისინი ცდილობენ თავი დაიძვრინონ და წაშალონ თავისი ბოროტმოქმედების სისხლიანი ეკალი.

ეს საზიზღარი მკვლელობა და ის პირობები, რომელშიც ის ჩაიდინეს განსაკუთრებით მკაფიოდ ააშკარავებს კაპიტალისტურ მსოფლიოს მთელ სიმდაბლეს და თვალთმაქცობას ეხლა, რაც მთელ მსოფლიოს თეთრგვარდიელობამ და მათმა დამქაშებმა—ყვითელ სოციალ-დემოკრატებმა მორთეს გაშმაგებული—ყვირილი ესერების გასამართლების გამო. მაგრამ ესერების გასამართლება ხომ საჯაროდ სწარმოებდა, მათი დანაშაულობა ისეთივე ჩასაფრებულ მკვლობის ცდებში როგორც 26 კომისრის მკვლელობა, რომ დამტკიცებულია მთელი ქვეყნის წინაშე. და მაინც დასავლეთის მთელი რიგი „საზოგადო მოღვაწეები“ აცხადებენ, რომ ეს სამართლიანი მსჯავრი აშფოთებს მათი „კულტურულ“ ადამიანების სინდისს. მაგრამ რატომ არ გაისმა პროტესტის ხმა მათი მხრით, რატომ სდუმდნენ 2 ინტერნაციონალის მეთაურები როცა გაუსამართლებლად, მხეცურად, შორეულ უდაბნოში სიცოცხლე მოუსპეს ჩვენს საუკეთესო წინამძღოლებს?

მართლაც! თუ ამხანაგები შაუმიანი ჯაფარიძე და სხვები ბოროტმომქმედებია—მოიწყოთ გასამართლება, დაემტკიცებიათ მათი დანაშაულობა! მაგრამ არა. კლასიური მტერი დამნაშავეა უკვე იმით, რომ ის ეკუთვნის მეორე კლასს, და ამიტომ წაიქცეე იგი მიწაზე და ჩასცი გულში ლახვარი!

ასე დგას საქმე, მაგრამ მათ არ ყოფნით სიმამაცე საჯაროდ განაცხადონ ეს, და საზიზღარი შურისძიება ხდება ყრუ უდაბნოში ფორმალურ მოწმობების და ოფიციალურ უარყოფათა ნიღაბ ქვეშ!

მაგრამ მოახლოვებულია სამაგიეროს გადახდის დღე, და თუმცა პროლეტარიატისათვის უცხოა პირადი შურისძიება, მაგრამ იგი ღირსეულად გადაუხდის ამ ჩასაფრებულ მკვლელებს და მათი სულის ჩამდგმელებს.

ეს ამხანაგები, რომლებმაც პირველებმა აღმართეს მთელი ამიერკავკასიის პროლეტარიატის გაერთიანების დროშა, ყველა საბჭოთა ფედერაციების გაერთიანების დროშა, იბრძოდნენ და დაიღუპნენ ამ დიადი იდეის განხორციელებისათვის და მათი საუკეთესო ძეგლი იქნება ამიერკავკასიის და რუსეთის მშრომელთა გაერთიანება.

დაღუპულ ამხანაგების დაღვრილი სისხლი უფრო შეამჭიდროებს ჩვენს რიგებს და აღანთებს ჩვენს გულს ერთი მძლავრი მისწრაფებით სულთმობრძავ მტერთან უკანასკნელი შეტაკებისათვის.

საქართველოს კ. პ. თბილისის კომიტეტი.

ბაქოს კომუნარების ხსოვნას

ოთხი წლის წინათ კასპიის ზღვის გაღმა უდაბნოში დასრულდა ბაქოს პროლეტარიატის ტრაგედია. იმპერიალიზმის გასისხლიანებულმა ჯალათებმა დახვრიტეს და ზერელეთ ქვიშაში ჩაფლეს ბაქოს 26 კომუნარი.

პროლეტარული რევოლიუციას შეეწირნ ჩვენი დაუვიწყარი ამხანაგები, ჩვენი მებაღეები, მშრომელთათვის თავდადებულნი: სტ შაუმიანი, ალ. ჯაფარიძე, ვ. ფიოლეტოვი, აზიზბეკოვი და სხვა.

იმპერიალისტურ ოსმალეთის და გერმანიის ჯარებით ალყა შემორტყმულ ბაქოს პროლეტარიატი დიდ ხანს აწარმოებდა უსწორო ბრძოლას, მოკლებული პურს და წყალსაც კი. საბჭოთა ხელისუფლების მოელვარე დროშა დიდხანს ამხნევებდა ბაქოს პროლეტარიატს, რომელიც თავის სახალხო კომისრების ხელმძღვანელობით იარაღით ხელში იგერიებდენ მშრომელთა შეურიგებელ მტრების ურდოებს.

მაგრამ ბრძოლის და გამარჯვების სასწორი ბოლოს მაინც გადიხარა მტრისაკენ. სოციალ გამყიდველებმა ამ მომენტით ისარგებლეს მეორე იმპერიალისტურ ძალის მოსაწვევად. პროლეტარული რევოლიუციის მოღალატეებმა კარგად იცოდნენ, რომ ინგლისის ჯარი ვერც შესძლებდა &ვერც მოინდომებდა ბაქოს პროლეტარიატის გულწრფელად დახმარებას, მაგრამ ოლონდ პროლეტარული დიქტატურის დამხობას მოსწრებოდენ და ინგლისის ჯარებს კი არა თვით ჯოჯოხეთის ძალასაც კი მოუხმობდენ.

მათმა ვერაგობამ ნაყოფი გამოიღო. ბაქოს პროლეტარიატის წინა მწყობრი წრე გაირღვა და ბაქოს კარები უფრო ადრე გაეღო ოსმალეთ გერმანიის ურდოებს, ვიდრე ინგლისელების საგრძნობი ძალები შემოვიდოდენ.

თუ რა მოუტანა ბაქოს პროლეტარიატს ან ერთმა, ან მეორე იმპერიალისტურმა ძალამ ეს ყველაზე უკეთ თვით ბაქოს პროლეტარიატმა იცის. მაგრამ მისი წამების, მისი ტრაგედიის უკანასკნელი აქტი კასპიის გაღმა დასრულდა დატყვევებული 26 კომუნარების დაჩეხვრეთით. იმპერიალიზმის საკურთხეველზე გაიმართა ეს გეკატომბა, მაგრამ სასიცოცხლო წვენი ვერ შემატა იმპერიალიზმის გახრწნილ ტანს. ბაქოს დათრგუნვას ზეიმობდა ჯერ ოსმალეთ-გერმანიის იმპერიალიზმი, შემდეგ იმპერიალიზმი ინგლისისა, ზეიმობდენ ორივე. შემთხვევაში ქართველი მენშევიზმის სძაგელი რაინდები, მაგრამ პროლეტარული რევოლიუციის ჩარხის გადატრიალებამ მტვრად აქცია იმპერიალიზმის ტახტი, როგორც ბაქოში ისე მთელ ამიერკავკასიაში. 26 წამებულ კომუნარის ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო: დღეს საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცებულია იქ, სადაც ისინი იბრძოდენ და სადაც ჰპოვეს ნაადრევი საფლავი. საბჭოთა წყობილება საკუთარი ძეგლია მათ ძვირფას ძვათა საფლავზე. საბჭოთა წყობილების კიდევ მეტი განმტკიცება, მისი გატანა აღმოსავლეთით და დასავლეთით—მათი რევოლიუციონური ანდერძია. და ამიერ-კავკასიის მშრომელი მასები არ დაივიწყებენ მათ სახლებთან ერთად ამ ანდერძსაც, ენერგიით და ხალისით განაგრძობენ იმ წყობილების გამაგრებას, რომლის ბალავერში მოქცეულია 26 გვამი ბაქოს კომუნარებისა.

სამაგიერო გადაუხადეს..

ოთხი წლის წინედ შორეულ იმიერ კასპიის უდაბნოებში მეშათა რევოლიუციის ჯალათებმა—ინგლისის იმპერიალიზმის აგენტებმა და მათი რუსეთის მახურებმა, ყველა ჯურის თეთრგვარდიელებმა, ს.—რ. ჩათვლით,—აწამეს ახალგაზრდა კლასის წინამძღოლები. 26 საუკეთესო ამხანაგი—შაუმიანის და ჯაფარიძის მეთაურობით დახვრეტილ იქნენ. ჯალათები ფიქრობდნენ, რომ წინამძღოლების მოკვლით ისინი ახშობენ თვით პროლეტარიატის რევოლიუციას ამიერ კავკასიაში. ისინი იმედოვნებდნენ ამ გზით უზრუნველყოფთ თავი და სამუდამოდ განმტკიცებულიყვნენ ამ მარგალიტით მოფენილ შარა გზაზე ევროპიდან აზიისაკენ. ასე ოცნებობდნენ ინგლისელები, ხოლო მათი რუს დამქაშები, კერძოდ ესერები ოცნებობდნენ ინგლისის ოკუპაციის მფარველობით დამკვიდრებიათ აქ თავისი „კულაკური“ დემოკრატია.

განვლო სისხლიანი ბრძოლის ოთხმა წელმა, და რას ვხედავთ.

ჯალათების ოცნებები დაძსხვრეულია ულმობელი სინამდვილით. მათ მიერ ნაწამებ რევოლიუციის წინამძღოლების ძვლებზე აღდგა შურისმაძიებელი, რომელმაც სამუდამოდ დამარხა, როგორც უცხოელ დამპყრობელთა ცდები, ისე ს. რ. კულაკურ კონტრ რევოლიუციის ზრახვები.

და იქ, სადაც ოთხი წლის წინედ ინგლისის ჩექმა თელავდა ამიერკავკასიის და იმიერ კასპიის მშრომელ მასებს და სადაც ს. რ. და მენშევიკები გზას უკაფავდნენ ინგლისელებს, ეხლა, 1922 წელში ამაყად ფრიალებს პროლეტარულ რევოლიუციის წითელი დროშა, და საბჭოთა ხელისუფლება აკეთებს თავის დიად საქმეს ახალი ცხოვრების აღმშენებლობისას.

ინგლისი აწარმოებს ახლა მოლაპარაკებას საბჭოთა ფედერაციასთან და არ ფიქრობს ჯერ ჩვენს საქმეებში შეიარაღებულ ჩარევაზე—ჩვენ მას დაუკარგეთ ამის ხალისი, ხოლო ესერებმა და მენშევიკებმა შეესწორეს თავიანთი პარტიების პოლიტიკური სიცოცხლე.

და რომ ჩვენი საუკეთესო ამხანაგებს, რომელთაც თავი დასდვეს მილიონ მშრომელთა საქმისათვის, შეეძლოთ მკვდრეთით ამდგომა და იმის შეხედვა თუ რა ხდება ჩვენს ირგვლივ, ისინი ღიმილით იტყოდნენ, რომ მათ მიერ გაღებული მახვერპლი გამოსყიდულია ასწილად და რომ ამისათვის შეიძლებოდა სიკვტილზე შეგნებულად წასვლა.

დიახ, არაფერს არ შეუძლია იმ ბრძოლის შეჩერება, რომელიც დაიწყეს რუსეთის მუშებმა 1917 წელს, არაფერს და არავის არ შეუძლია შეაფერხოს მშრომელთა გამარჯვება.

და ერთხელ დაწყებული ბრძოლა წარიმართება ძლევამოსილად ყველა ქვეყნებში, შეიწირავს რა ჩვენი წინამძღოლების რიცხვიდან დიდძალ მსხვერპლს.

მიოცე საუკუნე იშვა სისხლში, ნშრომელთა სისხლი უხვად რწყავს გამხმარ კაპიტალისტურ მიწას, მაგრამ ეს სისხლი საუკეთესო საწინდარია კომუნიზმის ზრდისა, რომლითაც აუცილებლად უნდა აშენდეს ძველი მსოფლიოს ნანგრევებზე.

კომუნიზმისათვის ბრძოლაში გადადებულია ჯალათების ხელიდან სიკვდილიც.

ჩვენ, ცოცხლად დარჩენილ ამხანაგებს და განსაკუთრებით მოზარდ კომუნისტურ თაობას მუდამ უნდა გვ დგეს თვალწინ დაღუპულ გმირების სახე, და გვიტაცებდეს მათი ნებისყოფა და რწმენა.

მათ მაგივრად უკვე იძიეს შური, წინ მრავალი ბრძოლა მოგველის. შური უნდა ვიძიოთ მშრომელთა საუკეთესოებრივ მონობისათვის, ჩვენი ამხანაგების არა ადამიანურ, მხეცურ წამებისათვის.

და ეს შურისძიება უნდა გამოიხატოს ჩაგვრის ქვეყნის სწრაფ ლიკვიდაციაში.

აქეთკენ მოგვ წოდებენ ჩვენ დღეს ჩვენი დიდებული ამხანაგები და წინამძღოლები.

და მათ მოწოდებას ჩვენ განვახორციელებთ.

შ. ელიავა.

„26“-ის... ამხ. სტეფანე შაუმიანის, ალიოშა ჯაფარიძის, ფიოლეტოვის, გაბდანოვის, გასინის, პაგანოვის და სხვათა ხსოვნას.

ჩემთვის, დღესაც საგმირო და თითქმის შეუძლებელიც ჩვენი კომპარტიის იდეურ რევოლიუციონურ დიქტატურის „ზეგავლენის“ გარეშე ლაპარაკი და წერა მათ შესახებ, დაუვიწყარების შესახებ!...

როგორც არ შემეძლო მე ლაპარაკი და წერა დაუვიწყარ ამხ. საშა წულუკიძის, მიხო ბოჭორიშვილის, თფილისის საუკეთესო ამხანაგების, თელიას და ზაჭრო ჩოდრიშვილის შესახებ, რომელნიც მუშაობდენ საერთო კავკასიის მაშტაბით... ან დღეს ყოველად შეუძლებელია ლაპარაკი აუნაზღაურებელ დანაკლისის, უბედურ კამოს, ასე ვთქვათ გენიოს—პროლეტარის შესახებ, რომელიც ვერ ეგუებოდა თანამედროვე მუშაობას!.. და განა ცოტაა ასეთები?

მთელი ლეგიონებია 1905 წლის რევოლიუციიდან დაწყებული დღევანდლამდე მაგრამ რაკი გიბრძანებენ, რომ ეს დღეს საჭიროა და აუცილებელი, მეც, როგორც რევოლიუციის ჯარის კაცი, ვიტყვი ორიოდე სიტყვას შაუმიანის, ჯაფარიძის და სხვების შესახებ.

—

არას ვიტყვი პირად ნაცნობაზე და საერთო რევოლიუციონურ მუშაობაზე თვითეულ ამ 26 ამხანაგთან..

ვიტყვი ზოგიერთ მათთან სპასუხისმგებლო კრებებზე თბილისში, ბაქოში, პეტროგრადში შეხვედრის შესახებ...

რეაქციის და ემიგრაციის ათეული წლების შემდეგ, საზღვარგარეთიდან პირველ ეკსპედიციის დაბრუნების და პეტროგრადში გამართულ ბოლშევიკების აპრილის კონფერენციის შემდეგ, მე ჩავედი ბაქოში 1917 წლის მაისის პირველ დღეებში. ჩასვლის პირველი დღეებიდანვე, მოხსენებების შემდეგ ვიხილავდით რეზოლიუციებს ომის, ზავის და პერსპექტივების შესახებ ადგილობრივ პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად,—რომელთა შორის იყვნენ ამხ. სტეფანე, ალიოშა, ფიოლეტოვი და სხვები. მენშევიკებთან დაუყოვნებელი განხეთქილების აუცილებლობისა და ბაქოს ბალშევიკებთან ამიერ-კავკასიის მაშტაბში ორგანიზაციულად გაერთიანების შესახებ, იმ პარტიასთან, რომელიც არის ისტორიულად უმნიშვნელოვანესი ნაწილი სრულიად რუსეთის ბალშევიკური პარტიისა, ჩვენ ამხ. სტეფანესთან უდისკუსიოთ შევთანხმდით... გაცილებით მეტი საკამათო დრო იყო საჭირო ამხ. ალიოშასთან და ფიოლეტოვთან, რომელნიც ბოლოს და ბოლოს, როგორც გულწრფელი და თავდადებული რევოლიუციონერები, აგრეთვე დაგვეთანხმენ ჩვენ.. მუშა ფილეტოვი და ალიოშა ჯაფარიძე არ ქონდათ იმის იმედი, რომ რამიშვილი, ეორდანია და სხვა ასეთი მენშევიკები უფალატებდენ თავის თავს, დიალექტიურად—რევოლიუციონურად განვითარდებოდენ და გახდებოდენ საჭირონი რევოლიუციის მომავალი მსვლელობისათვის და შეიქმნებოდენ ამ ხანის მოღვაწეებად.

არა და არა, ისინი არც ისე გულუბრყვილონი იყვნენ და ძალიან დაშორებულნი ოპორტიუნიზმს. მაგრამ ისინი ფიქრობდენ—ამოეწურათ საკითხები მუშების ყველა სადისკუსიო კრებებზე და საბჭოების ყრილობებზე და გამოემეფლავნებიათ „მენშევიკების პარტიის“ სახე და კიდევ მეტი მასები ჩაებათ რევოლიუციის ფერ ხულში, რომ ეს ასეა, ე. ი. სწორია მათი ასეთი დახასიათება, სჩანდა იქიდან, რომ როდესაც ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე ამ საკითხის გამო მე უ ალაყვედურე.

მომენტის ორსებითი ამოცანების გადადება, ამხ. ფიოლეტოვს (მხოლოდ მას, არა ჯაფარიძეს) თითქმის ეწყინა, რითაც დაამტკიცა, რომ ჩვენ შორის არ არის არავითარი პრინციპიალური განსხვავება...

ამის შემდეგაც იმათ, დაუვიწყარმა ამხანაგებმა, დაამტკიცეს თავისი შეურიგებლობა შემთანხმებელი მუშაობასთან, და ამ მიმართულებით აწარმოებდენ მუშაობას თებერვლის რევოლიუციის გასაძლიერებლად და ამ რევოლიუციის ოქტომბრის რევოლიუციად გადასაქცევად.

ამის შემდეგ ამხ. ფიოლეტოვს, ბასინს და ჯაფარიძეს მე შევხვდი 1917 წლის დასასრულამდე ბაქოს ტფილისში საპასუხისმგებლო, პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა კრებებზე, სადაც ისინი წარმოგზავნილი იყვნენ ბაქოს ამხანაგების მიერ. ჩემი შთაბეჭდილება მათთან საუბრიდან იყო მოსმენილი, რამდენ რევოლიუციონურ ოპტიმი-

ბას, ნიჭს, გამოცდილებას და მომენტის საკითხებისადმი ფრთხილად მიდგომას ვგრძნობდი და ვხედავდი მე მათ მოქმედებებში სიტყვებში და გრძნობებში...

ამხ. ბაგდანოვი იყო შეუდარებელი აგიტატორი და სალდათების მასების ორგანიზატორი 1917 წელში.

ის იყო ნამდვილი მათი წინამძღოლი, როგორც ამხ. გორგალოვიც—ორივე შედარებით ჩვენთან (უფროსებთან) ახალგაზრდები, მაგრამ იდეიურად მასიური წინამძღოლობისათვის, რევოლიუციონურ მუშაობისათვის მომზადებულნი, თავდადებულნი და დისციპლინის მქონე ამხანაგები... განსაკუთრებით და შეიძლება უფრო მეტი ვთქვა ამხანაგ სტეფანეზე (შაუმიანზე). ვინაიდან ის ისეთივე ძველი მეგობარია ჩემი, როგორც ჯაფარიძე და რაც უმთავრესია, 1918 წლის დასაწყისში, ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს თბილისში და პეტროგრადში საქმეებზე და მაშინ, როცა „თავისუფლების“ იშვიათი მომენტები რამოდენიმე საათობით გვხვდებოდა ჩვენ წილად.

თბილისში 1917 წელს ის ხშირად იგზავნებოდა ბაქოს ამხანაგების მიერ. ერთი ასეთი მთავარი მომენტი იყო 17 წლის დასასრულს, არმიის მეორე ყრილობაზე (კავკასიის არმოსავლეთ-ფრონტის პირველ იმპერიალისტური ომის დროს).

ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ წინასწარ თბილისის რაიონებში, აღმოსავლეთის არმიის ბათალიონებში და პოლკებში. თითქმის ყოველგან ვახწევდით გამარჯვებას და ყრილობაზე დელეგატების უმრავლესობა გავიყვანეთ ჩვენი სიით.

თბილისის საბჭოს ჯარისკაცთა სექციაში იყო ასეთი ძალთა განწყობილება პარტიების შორის: აღმასკომის 50 წევრში ჩვენ (ბოლშევიკები) ვიყავით 23, ხოლო ყველა დანარჩენი დემოკრატიული პარტიები შეადგენდენ 27 (საქართველოს მენშევიკების, დაშნაკების, ს. ფედერალისტების და ესერების ბლოკი). კავკასიის ფრონტის არმიის მეორე ყრილობაზე ძალთა განწყობილება კიდევ უფრო ხელსაყრელი იყო ჩვენთვის: ჩვენ ვიყავით დაახლოვებით იმდენივე, რამდენიც ყველა დანარჩენი პარტიები. მაგრამ შუაზე იდგა საკმაოდ მნიშვნელოვანი ჯგუფი უპარტიოებისა. ⁄ კიდევ რამოდენიმე დელეგატები მემარცხენე ესერებიდან, რომლებიც ყველაფერში გვეთანხმებოდენ ჩვენ. ესერები მანამდე კი მთლად გაბატონებული იყვნენ აღმოსავლეთის არმიაში.

პირველად მოწვეულ კავკასიის საბჭოს (არმიის) თავმჯდომარედ იყო ესერი დონსკოი (სწორედ ის, რომელიც ამას წინად გაასამართლეს გოცთან და სხვებთან ერთად). რასაკვირველია, პირველად უპარტიოები კიდევ დაშინებით იქცირებოდენ მარცხნით. (ჩვენსკენ) და იმედით მარჯვნით, (ესერების, მენშევიკების და სხვების მხრით) მაგრამ, ეს იმედიც თანდათან ქრებოდა, თვით ესერების უტაქტო მოქმედების გამო, რომლებიც გათამამებული იყვნენ 10 წლის ბატონობით და დაკარგეს გონება.

ასე ესერმა დონსკოიმ, გახსნა ყრილობა და არ ინება იმ წუთში წინადადება მიეცა კრებისათვის, რათა აერჩიათ პრეზიდიუმი, არამედ გაუზვიადა ორ-სამ სხდომაზე... სანამ ჩვენ არ ვაიძულეთ გადამდგარიყო. ვინაიდან ამხ. სტეფანემ შეიტანა განცხადება იმის შესახებ, რომ ესერი დონსკოი უგზავნის დასახმარებლად ჩრდილო-კავკასიის კონტრ-რევოლიუციონერებს ამუნიციას, რათა დაარბიონ საბჭოები... და აუცილებელია, ყრილობამ უნდა აირჩიოს საგანგებო კომისია ესერ დონსკოისა და კავკასიის (არმიის) საბჭოს ყველა ძველ შემადგენლობის გასასამართლებლად.

ყრილობის თავმჯდომარის არჩევასას ჩვენ მეტი შანსი არ გვქონდა, ვინემ ყრილობის სხვა ფრაქციებს თვითეულად. მაგრამ ამხ. სტეფანე და ბევრი სხვები ფიქრობდენ, რომ ჩემს კანდიდატურას შეეძლებოდა ჩვენი მდგომარეობის ხსნა, ვინაიდან ფრაქციები ვერ გაბედავდნენ ჩემს გაშავებას.

მაგრამ სამწუხაროდ მე ახალი დაბრუნებული ვიყავი პეტროგრადიდან პლევრიტის პროცესით და ძლიერ ცუდად ვგრძნობდი თავს. ეს ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრით მე საჭიროდ მიმაჩნდა, კიდეც რომ დავმარცხებულიყავით, წამოეყენებინა ამხ. სტეფანეს კანდიდატურა, როგორც ბაქოს პროლეტარიატის წარმომადგენელის და პურტაის ცეკას წევრის (კავკასიიდან). ასეც მოვიქეცით. ის ვერ გავიყვანეთ თავმჯდომარედ, მაგრამ მით უკეთესი იყო ჩვენი ფრაქციისათვის ყრილობაზე: ჩვენ შევძელით ამხ. სტეფანესთან ერთად სასტიკად დაგვემარცხებია ესერები ყველა საკითხებში, ვინაიდან, ვინაიდან უპარტიოები ჩვენთან ერთად აძლევდენ ხმას. ახალი აღმასკომი უმეტესად ჩვენი აღმოჩნდა. მაგრამ ესერები და მენშევიკები არ დაემორჩილენ ყრილობის გადაწყვეტილებას და მოახდინეს „გადატრიალება“, ესე იგი დაიტოვეს წინანდელი „სტატუს ქვო“, და არ გაატარეს მიღებული რეზოლიუციები ცხოვრებაში.

სამწუხაროდ ვერ ვახერხებ განვაგრძო ავადმყოფობის გამო... და ვეცდები მეორე ჯერ დაუბრუნდე ამ მოგონებებს...

მიხა ცხაკაია.

ამხ. სტეფანე და ალიოშა

(მ ო გ ო ნ ე ბ ა)

დღეს შესრულდება 4 წელიწადი მას შემდეგ, რაც ბაქოს, ამიერ-კავკასიის და მსოფლიოს პროლეტარიატმა დაჰკარგა 26 თავდადებული ამხანაგი, მედგარი რევოლიუციონერი. განსაკუთრებული ტკივილები ამ დაკარგვამ მიაყენა ბაქოს პროლეტარიატს, რომლის შორისაც მოღვაწეობდენ განსვენებულნი. აუნაზღაურებელია ეს დანაკლისი; ჩვენ წრეს გამოაკლდენ საყვარელი წინამძღოლები,—ამხ. სტეფანე შაუმიანი, ალიოშა ჯაფარიძე, მატათია ბეკაზიბეკოვი, ვანო ფიოლეტოვი და პავლე ზევენი.

მძიმე და სამწუხაროა ჩემთვის, ბაქოს პროლეტარისთვის მოგონება იმ დიდი დანაკლისის, რომელსაც ადგილი ქონდა 1918 წელში.

მუდამ სახსოვარი იქნება ის ისტორიული დღე, როდესაც ბაქოში უკანასკნელი სხდომა გამართა მუშათა დეპუტატების საბჭომ.

რატომ უწოდებ მე მას „უკანასკნელს“?

ის იყო უკანასკნელი სხდომა იმიტომ, რომ ამის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება მოისპო და შეიცვალა ცენტრო-კასპიის დიქტატურით.

და ამ სხდომის დახურვის დროს ამხ. ალიოშამ, როგორც თავმჯდომარემ სთქვა:

— მუშათა დეპუტატების საბჭოს უკანასკნელ სხდომას დახურულად ვაცხადებო.

მახსოვს უკანასკნელი სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა ამ სხდომაზე ამხ. სტეფანე შაუმიანმა. ბაქოს ყველა მუშებს, რა თქმა უნდა არ დავიწყებიათ დღემდის ეს სიტყვები.

ამხ. სტეფანე ამბობდა:

— თუმცა ბაქოს პროლეტარიატის ნაწილი, რომელიც მოტყუებულია გამცემელი პარტიების, ინგლისის კაპიტალის აგენტების მიერ, სოც. რევოლიუციონერების, მენშევიკების და დაშნაკელების სახით, შეცდომაში შევიდა, მაგრამ ვიცი რა კარგათ ბაქოს მუშების რევოლიუციონური აღტკინება, მე დარწმუნებული ვარ და თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ ის ამხანაგები, რომელნიც ამ ჟამად შეყვანილნი არიან შეცდომაში, რა თქმა უნდა, გაიგებენ თავის შეცდომას. გაავლის ცოტა ხანი და ისინი ხელახლა შეუდგებიან ბრძოლას თავის საუკუნო მტრების, კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ, იმპერიალიზმის წინააღმდეგ და შრომის სრული განთავისუფლების და სოციალურ რევოლიუციის განვითარების სასარგებლოთ.

მართლაც არ გასულა 6 თვე, და 1919 წლის დასაწყისში გამოლვიძებული ბაქოს პროლეტარიატი, როგორც ერთი კაცი, ხელახლა შეუდგა ბრძოლას, გაძლიერებულ რევოლიუციონური აღტკინებით გამოვიდა მუსავატელების უღლის ჩამოსაგდებად, მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

მე არ შემიძლია დავივიწყო დაუღალავი მებრძოლები—ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის წინამძღოლები ამხ. სტეფანე და ალიოშა.

მე ვიცნობდი მათ 1903 წლიდან, ვიცოდი, რომ ისინი თავს არ იზოგავდენ, მუდამ იყვენ დევნილნი მეფის ჟანდარმების მიერ.

ერთად ერთი მათი მისწრაფება იყო საერთო საქმისათვის სამსახური, მუდმივი ბრძოლა მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კაპიტალის უღლისაგან განსათავისუფლებლად.

მე ნათლად მაგონდება ნავთის სამრეწველოების მუშათა კავშირში ამხ. ალიოშასთან ერთად მუშაობა.

1906 წლიდან ალიოშა იყო კავშირის სული-და-გული. ის მუშაობდა პარტიაში დი იყო კავშირის მდივანი. ის ასწრებდა ყველა იმ ადგილებში სიარულს სადაც გაჭირვებას განიცდიდა მუშა—ხალხი, სადაც იყო კონფლიქტი შრომისა და კაპიტალს შორის. ყოველგვარ მდგომარეობიდან ალიოშა გამარჯვებული გამოდიოდა, იყო რა მის მხარეზე მასების თანაგრძნობა, მიუხედავად იმ შეულლისა, რომელსაც მენშევიკები სთესავდენ ამ მასებში. მაგონდება ამხ. სტეფანეს მოხსენებებიც. შაუმიანი თავისი ტკბილი და შეურყეველი და დამშვიდებული ხმით აჯადოვებდა არა მარტო ჩვეულებრივ მსმენელებს, არამედ პოლიტიკურ მოწინააღმდეგებს, რომელნიც იშვიათად ბედავდენ მასთან შეკამათებას.

ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის წინამძღოლები დაღუპენ კასპიის იქითა უდაბნოში, მსოფლიო კაპიტალის დაქირავებულთა ხელით, მსოფლიო პროლეტარიატის საერთო ზეიმის განთიადზე, რომლისთვისაც ისინი მთელი თავისი სიცოცხლეში იბრძოდენ.

ერთი რამ უნდა გვანუგეშებდეს ჩვენ, ამიერ კავკასიის პროლეტარებს, რომ ჩვენი წინამძღოლები არ დაიღუპნენ ტყვეულ უბრალოდ, არამედ თავი დასდეს სახელოვან პოსტზე, იცავდენ რა სოციალურ რევოლიუციას და მუშათა კლასის გამარჯვებას.

ჩვენი მასწავლებლების მოძღვრება ვერავინ ვერ წაგვართვა ჩვენ.

ეს მოძღვრება ცოცხალი დარჩა ამიერ-კავკასიის პროლეტარებს შორის და იგი გვამხნევებს ჩვენ მომავალი ბრძოლისათვის კაპიტალისტური წყობილების სრულ განადგურებამდე, მსოფლიო სოციალურ რევოლიუციის სრულ განადგურებამდე.

ხ. იაკუბოვი.

ოცდა ექვსი

(ბაქოს 26 კომუნარების ბრწყინვალე ხსოვნას)

სევდით ვიგონებთ წითელ ბაქოს ოცდ• ექვს გმირებს
პარიზის ფიქრებს ვიახლოვებთ ჩვიდმეტ ათასით,
მწარე წარსულის მოგონება ცრემლით გვატირებს
და შხამსა გვასმევს ნაღვლით ნარევს ავსებულ თასით.

—

პარიზის ქუჩებს მუდამ ახსოვთ ფერე, ვარლენი,
ელიზ რეკლიუ, დელეკლიუზ და ვალიანი,
ჩვენ გვეხსოება **ახჩა-კუომ და პერევალით**
ფიოლეტოვი, ჯაფარიძე, შაუმიანი.

—

ტიერის სახე შავ ნილაბსა მუდამ იფარებს,
გალიფე სისხლით გასვრილ ხელებს ვერსად დამალავს,
მათ წყევა-კრულვას ჩვენი მხარე გულში იტარებს.
მათ მოგონება ბრძოლის ენით სულსა გვიკალავს...

—

ო, ის ტიგ-დეონი დათვრა მაშინ იმათი სისხლით,
ამცნო ანტანტას ოცდა ექვსის მოკლე ამბავი:
„მოკვდა კომუნა. მათ გაუპეთ გული მახვილით
„მათი გვამებით ტიალ მინდვრათ გაძღება სვავი“.

—

მაგრამ კომუნა არ მომკვდარა. აინთო ცეცხლათ:
ალში გავხვიეთ—ვაყირავებთ დღეს ძველ სამყაროს.
ჩვენთან არიან ოცდა ექვსი ჰირში საშველათ
ახალ ქვეყნისთვის ძველ ქვეყანას უქმნით სამჯავროს.

ხანდრო ეული.

დიდება გმირებს

(26 კომ. ხსოვნას)

ფოლადის მკერდი შეუშვირეთ
მტრების ბასრ მახვილს,
არვინ ისმენდა უდაბნოში,
თქვენს გმირულ ძახილს,

——

თავი დასდევით, ხალხს შესწირეთ,
სული და გული,
არე-მიდამო თქვენი სისხლით
გახდა ნაშული!..

——

მაგრამ რა მოკლავს,
თქვენს დაწყებულ საქმეს ამ დიადს;
დღეს ჩვენ განვაგრძნობთ
თქვენ მაგიერ... ვამარცხებთ წყვდიადს.

——

თქვენ გოლგოთაზე, აიტანეთ
წამების ჯვარი!
მიიღეთ ტანჯვა, მტარვალთაგან
ყოველი გვარი!

——

აღარ დაგზოგეს ჯალათებმა
გაგიპეს მკერდი,
მაგრამ დღეს გმოსავთ,
უკვდავების შარავანდედი!

ა. ხჰირიდონიძე.

სტეფანე და ალიოშა

ბაქოს პროლეტარულ მოძრაობაში, რევოლიუციის, საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების და საზოგადოდ ნავთის ქვეყნის საზოგადო-პოლიტიკურ ცხოვრებასთან ეგ ორი სახელი იმდენად დაკავშირებულია, რომ სტეფანე შაუმიანის სახელის ხსენების დროს არ შეიძლება არ მოიხსენოთ ალიოშას სახელი და წინააღმდეგ.

კადნიერებად არ ჩაითვლება, თუ ჩვენ ამ ორი პოლიტიკურ პიროვნებას ბაქოს პროლეტარიატის მოძრაობაში შევადარებთ კ. მარქსის და ფ. ენგელსის ნათამაშებ როლს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მასშტაბით.

ორივე მათგანი ყოველ პოლიტიკურ ან ეკონომიურ მომენტებში ყოფილა ერთი მეორისთვის „მეორე სკრიპკა“. თუ სტეფან თავის პოლიტიკური გამოსვლებით ამხნევებდა და აკაჟებდა მასებს ვერაგი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველათ, ალიოშა როგორც „მეორე სკრიპკა“, ნიადაგს ამზადებდა და აპობილებდა მშრომელთა მასებში მაგ კლასიური ბრძოლის იდეიის რაც შეიძლება მალე შესათვისებლათ, მოიწყო და შეეკავშირებია „შავი შრომა“, რათა შემდეგ თითონ სტეფანეს დაესრულებია დანარჩენი—მოემზადებია მასსები იდეურ-მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველათ.

და ასე მუდამ თუმცა ბევრჯერ ძნელი იყო ერთის როლის და ავტორიტეტის მეორისაგან გარჩევა.

რა თქმა უნდა, რომ თითონ ალიოშასაც დიდი გავლენა ჰქონდა მუშათა წრეებში თავისი პირდაპირი მონაწილეობის გამო პროფკავშირებში.

ალიოშა ბაქოს მუშათა სულის ჩამბერავი და მათი საყვარული იყო, მის ყოველ სიტყვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროლეტარულ ნავთის ქვეყნის ქარხნებში.

და თითქოს ეს ორი ათასი—სტეფანე და ალიოშა—დიდი ხნის ერთად შრომის შემდეგაც, რაღაც ფატალურ ძალით, ერთათ უნდა წასულიყვნენ ამიერ-კასპის უკაცურ, ქვიშიან უდაბნოში, ერთათ ეტანჯათ და უკვდავ ეყოთ თავისი რევოლიუციონური სახელები.

ჩვენ, მათი ძველი ამხანაგები, ვიხსენიებთ რა გულის დიდი ცემით მათ სახელებს, სულიერათ ვუახლოვდებით ასე უდროოთ ჩვენგან მოშორებულ, ჩვენ წრიდან მოჭრილ რევოლიუციონურ პირებს და ნუხლს ვიდრეკთ მათ დიდი ცხედრების წინაშე.

ხ. ხანოიანი.

„გაუმარჯოს კომუნარებს!“

(ბაქოზი დალუპულ კომუნარების ხსოვნას)

ბაქო არ ჰგლოვს, არც პარიზი
სევდის ნისლში ცრემლს არ ლესავს...
განა იგი საგლოვია,
რაც გმირთ ხელებს დაუთესავს?!.

არა, ცრემლი და ვაება
სულ არ შვენის შრომის კერას,
იგი ჰირშიც გლოვის ჰანგზე
საგმირთ გმიროს სთხზავს სიმღერას.

ეს არ არის უილაჯო,
უიმედო ჰანგთა წყობა,
სიბრალულის გამომწვევი
იმას კილო არ ეტყობა.

იგი ცეცხლის ქშენა არის
და ფოლადის ბასრი წვერი:
მტრის წილ ზიზღი, კიცხვა, რისხვა...
მასში ისმის ყველაფერი!..

და მოყვრებს კი ეს სიმღერა
დაუამებს გულის იარს,
თვის ძგერაში დღეს იმ მდუმარ
გმირთა გულის თანაზიარს.

მათი მადალ სურვილების
საცეცხლურს და საკურთხეველს,
მათი ხსოვნით ქვეყნად ახალ
ბრძოლის ცეცხლის გამომწვეველს.

იმათ ნათელ მაგალითებს
ის უთანხმებს თავის ქნარსა!..
მისთვის დღეს ის სულაც არ ჰგლოვს
ოცდა ექვს გმირ კომუნარსა...

ეს იმ გმირებს, ბაქოში რომ
შეეწარენ დროშას წითელს,
მათ შესახებ ბევრს არ ვამბობ
და მივანდობ ამას მკითხველს...

ვეტყვი მხოლოთ, რომ ჩვენ არ ვგლოვთ
სახელოვან იმ ჩვენს გმირებს!
ვსტირით ლაჩრებს და გმირებს კი
ქვეყნად ვერვინ ვერ იტირებს...

იმათ ხსოვნას დღეს ჩვენს გულში
ფრთებს უშლით და ვუღებთ კარებს,
მათთვის ვანთებთ მსოფლიოში,
ენინღილებს და კელაპტარებს!..

დეე, ნახონ ეს დიდება!
ეს პატივი ხელმწიფური,
ვინც რომ ქვეყნის წინ პირნათლად
მოიხადეს სამსახური...

ნახონ ეს და ჩვენთან ერთად
გადახედონ ჩვენს გმირ ჯარებს,
და შესძახონ, ვით კვლავ ცოცხლებს:
„გაუმარჯოს, კომუნარებს!..“

ნ. ზომდეთელი.

26 კომუნარს

(ოთხი წლის თავზე)

დიდება გმირებს, ვინც ავიდენ წამების მთაზე,
ვინც წაიღეს ამ მსოფლიოს ავი გოდება,
ხალხი აზღვავდა, აბობოქრდა მათ გულისთქმაზე,
ცეცხლის სტიქია მთელ ქვეყანას სწვავს და ედება.

ქარავანივით გაირბენენ ათასი წლები,
დაინგრევიან დიდებული ტროა, კართაგენ,
დინამიტების აფეთქებით და განახლებით—
ამ ქარიშხალში ჩვენ ცხოვრების გზას მივაგენით.

და მზე სახელებს ისტორია სულ მოიგონებს;
შაუმიანი, ჯაფარიძე, სხვები მრავალი,
ჩვენ სისხლიანი ეშაფოტი ვერ დაგვადონებს,
იქ დაინთება ბრძოლის ცეცხლის დიდი მწვერვალი.

ევგენი ხიდოშვილი.

26 კომუნარი

(ვერაგულათ დახოცილთა ამხანაგების 4 წლის თავზე)

შავი ღრუბლები, შავი თვალებით
სულს გიხუთავდენ, ახშობდენ გრძნობას,
ჯალათის ხელი, ცეცხლის ალებით
სწვავდა, აქრობდა მშრომელთა ნდობას.

—

მაგრამ კლდე გული ცეცხლით გრძნებული
შავ მრისხანებით არ შედრეკილა,
და რწმენას ალით კვლავ ანთებული—
წინსვლის ყიჟინა არ შეწყვეტილა...
და თქვენ დაიცით... ძმამ ძმის გულისთვის
სისხლის ქარიშხალს არ დაერიდეთ,
და მომავალი გამარჯვებისთვის—
თავ განწირული მტრებს დაერიეთ.
დღეს კი, სად თქვენი სისხლის ნაკადით
იყო მორწყული ქალაქის გული,
ამოდის ვარდი, სიოს ნავარდით,—
იზრდება, ხარობს თქვენი დარგული...

იაკინთე ლიხაშვილი.

ნაციონ-ლეკვეშეები

ღსმალეთ საბერძნეთის ომი

საკითხები სრუტეების შესახებ.

ანგორა. 17 სექტემბერი. ანგორაში გაცხოველებთ იხილავენ საკითხს ანტანტასთან დამოკიდებულების შესახებ, სტამბოლისა და ფრაკიის საკითხთან დაკავშირებით. პრესა, საზოგადოების და მეჯლისის უმრავლესობა იმ აზრს იზიარებს, რომ აწარმოვონ გაბედული შეიარაღებული ბრძოლა სტამბოლის, ფრაკიის და სრუტეების დასაცავად.

ანგორა. 17 სექტემბერი. გაზეთი „ხაკიმიეთ მილიე“ მოწინავე წერილში ნეიტრალური ზონის შესახებ სწერს შემდეგს: „ნეიტრალური ზონა არ არსებობს,—არის მხოლოდ ოსმალეთის დამოუკიდებელ-სახელმწიფოს ნაწილი. თვით სევრის ხელშეკრულებით, რომელიც ანადგურებს ოსმალეთს, პრინციპიალურად ფრაკია და სტამბოლი გადაეცა ოსმალეთს. ოსმალეთის ხალხი აუჯანყდა სევრის ხელშეკრულებას, დაამარცხა ინგლისელები, სულთანი და სამერძნეთი. ნეიტრალური ზონა ჩვენ გვეკუთვნის, ჩვენ მოვითხოვთ მას სამართლიანად და საჭიროების დროს ჩვენ ჩვენს სიმართლეს დავამტკიცებთ იარაღით. ჩვენ გვინდა ზავი, მაგრამ თუ შეტაკება მოგვიხდა, მაშინ ბრალი დაედებათ მათ, ვინც ეს გამოიწვია.

ანგორა. 16 სექტემბერი. გაზეთი „ენი გიუნი“, იხილავს მოწინავეში მცირე ანტანტის ოსმალეთის წინააღმდეგ გალაშქრების შესაძლებლობას და აღნიშნავს, რომ სერბიის და ჩეხო სლოვაკიას ამ ჟამად არ ძალუძთ გამოლაშქრება, მათი შინაური მდგომარეობის სირთულის გამო. გაზეთი ფიქრობს, რომ თუ თვით საფრანგეთი და იტალია შეუთანხმდებიან ინგლისს, ესეც არ იქნება ოსმალეთისათვის ახალი და მოულოდნელი ამბავი, ვინაიდან ოსმალეთი ორი წლის წინად ებრძოდა საფრანგეთს კილიკიაში.

ბერლინი. 18 სექტ. რეიტერის სააგენტოს ცნობით ინგლისის მთავრობასა და მოკავშირეთა მთავრობების შორის მოხდა სრული შეთანხმება სრუტეების ნეიტრალიზაციისა და ახლო აღმოსავლეთში დამხმარე ძალების გაგზავნის შესახებ. ხმელთაშუა ზღვის ესკადრამ მიიღო ბრძანება თავი მოიყაროს ჩატალთან.

ბერლინი. 18 სექტემბერი. კუნძულ ბალტიდან გაემგზავრა კონსტანტინოპოლში შოტლანდიელების პოლკი და ჰაეროპლანების რიზმი.

ბერლინი. 18 სექტემბერი. გაზ. „დეილი მეილის“ ცნობით, ახალმა ზელანდიამ განაცხადა სურვილი მიიღოს მონაწილეობა სრუტების დაცვაში.

მცირე ანტანტის პოზიცია.

ბერლინი. 18 სექტემბერი. არაგიდან მიღებული ცნობები აბათილებენ აქას, რომ თითქოს მარიენბადის ხელშეკრულებაში იყოს საიდუმლო მუხლები ჩეხო-სლოვაკიის, სამხრეთ სლავიის, რუმინიის და პოლონეთის სამხედრო კავშირის შესახებ. ჩეხოსლოვაკიის გარეშე საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ მარიენბადში მიღებული იყო მხოლოდ 1921 წლის კონვენციის დამატებანი. რომელიც გამოქვეყნებული იქნება როგორც კი პრეზიდენტი მასარიკი დაამტკიცებს მას. არავითარ საიდუმლო ხელშეკრულება არ ყოფილა, და არც ყოფილა დასმული საკითხი რუმინიასთან ან პოლონეთთან სამხედრო კავშირის შესაშებ.

პრესის აზრი.

ნაუენი. 18 სექტემბერი. „ტრიბუნაში მოთავსებულია მოწინავე წერილი იტალიის ახლო აღმოსავლეთის საკითხისადმი დამოკიდებულების შესახებ, რომელშიაც ნათქვამია, რომ იტალია ყოველთვის სოლიდარობაში იქნება მოკავშირეებთან სრუტეების თავისუფლების დაცვის საკითხში, მაგრამ მას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამ დაცვაში თავისი ჯარებით კონფლიქტის გართულების შემთხვევაში. იტალია ცდილობს ეს კონფლიქტი მოსპოს საბავო კონფერენციის მოწვევით.

ნაუენი. 18 სექტ. „ეხო დე პარის“ აზრით საფრანგეთის თვალსაზრისი ახლო აღმოსავლეთის საკითხში ისეთია, რომ ინგლისის მთავრობას მიაჩნია ზედმეტად და სახიფათოდ დიპლომატიური გზით სვლა. თავის მხრივ საფრანგეთს იმედი აქვს უზრუნველყოს თავისი თავი ყოველგვარ ავანტიურისაგან.

ბერლინი. 18 სექტ. „პტი პარიზიენი“ გამოსთქვამს განცვიფრებას, რომ ინგლისი ჩქარობს სიტყვიდან საქმეზე გადავიდეს, გზავნის რა დამხმარე ჯარებს ნეიტრალურ ზონებში მანამ სხვა მოკავშირეებს თავისი თანხმობა არ განუცხადებიათ. სენ ბრისი „ეურნალში“ სწერს, რომ შექმნილ მდგომარეობიდან ერთად ერთი გამოსავალია, სრუტეების შეიარაღება და მათი დაცვის დაკისრება ადგილობრივ ძალებისათვის, რომელთაც შეუძლიათ ბრძოლა ყოველგვარ მოულოდნელობასთან.

რომი. 18 სექტ. „დეილი მეილი“-ს ცნობით ოსმალეთის ჯარების გამარჯვების პირდაპირი შედეგია საბერძნეთის არმიის სრულიად გახრწნა და მასში ბოლშევიზმის განვითარება.

აჯანყებული ჯარისკაცები სტოვებენ ვინტოვკებს და არტილერიას და გარბიან ფრონტიდან.

ბერლინი. 18 სექტ. ბელგრადის და ბუხარესტის თვალსაზრისის შესახებ შექმნილ მდგომარეობაზე „მატენი“ ამბობს, რომ სამხრეთ სლავიის მთავრობას კიდევ შეეძლო დათანხმებულიყო ოსმალეთის საზღვრების ძველ ფორგლებში აღდგენაზე, რომ ამაზე თანხმობა განეცხადებინათ ინგლისს და საფრანგეთის, მაგრამ საერთო ბოლგარეთ ოსმალეთის საზღვრების დაწესება, მოასწავებდა სამხრეთ სლავიისათვის ყოვლად მიუღებელ მდგომარეობას. ბელგრადში ვერ დათანხმდებიან ბოლგარია ეგეის ზღვაზე გამოვიდეს, რისთვისაც აგრე თავგამოდებით განგაშს მართავს დღეს 4 წლის განმავლობაში დიპლომატიური განზრახვით მდუმარე სტამბულინსკის მთავრობა. ბელგრადში დინასტიურ ინტერესების გამო არ სურთ, რომ სამერძნეთი იძულებული შეიქნეს დასთმოს ნაწილი თავის ტერიტორიისა.

საფრანგეთის კომუნისტების აზრი.

ბერლინი. 18 სექტ. „იუმანიტეში“ კაშენი მიუთითებს, რომ უაზრობაა ცდა სრუტეების საკითხის გადაწყვეტისა რუსეთის მონაწილეობის გარეშე.

ტაუშენდი ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის შესახებ.

ბანგეერი. 18 სექტ. „ივნინგ სტანდარტ“-ის ცნობით ახლო მომავალში მოხდება გენერალ ტაუშენდის და ლოიდ ჯორჯის შეხვედრა ახლო აღმოსავლეთის საკითხზე მოსალაპარაკებლად. გენერალ ტაუშენდმა პრესის წარმომადგენელთ განუცხადა, რომ მოკავშირეებმა კონსტანტინეპოლი

15 სექტემბრიდან გაზეთებზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

გაზეთების დასახელება	საქართველოში ქართული ბონებით		სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1922 წლ. ფულის ნიშნებით.	
	1 თვით.	1 ოქტ. წლ ბოლომდე.	1 თვით.	1 ოქტ. წლ. ბოლომდე.
„კომუნისტი“	100,000	300,000	250,000	750,000
„პრ. გრუზია“	100,000	300,000	250,000	750,000
„ქარგ ასტლი“	100,000	300,000	250,000	750,000
„ბიწის მუშა“	40,000	120,000	100,000	300,000
„ახალი აზრი“	40,000	120,000	100,000	300,000

წინანდელ ფასებში ხელის მომწერლებს განსხვავება ჩაეთვლებათ გაზეთების მიღების ვადის გაგრძელების გზით.

ყველა გაზეთის თითო ცალი ეღირება 5,000 მანეთი.

ზემოდ მოყვანილ ფასების ზევით გაზეთების გაყიდვიდან ამ-ნაშავენი დაიხარჯებიან კანონის მიხედვით.

გაზეთის ტრესტის გამგეობა და მთავარი კანტორა

ცნობებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და საქართველოს კომ-პარტიის ყველა წევრებს, რომ 1 ოქტომბრიდან შეწყვეტილ იქნება გაზეთების გაგზავნა საქართველოს კომპარტიის ცეკას ანგარიშზე ბილისში და პროვინციებში გაზეთების გაგზავნის შეწყვეტის თავი-დან ასაცილებლად, წინადადება ეძლევა ყველა პარტიულ ორგანიზა-ციებს იზრუნონ თავის დროზე გაზეთებზე ხელის მოწერისათვის. **გაზეთები გაიგზავნება მხოლოდ ნაღდი ანგარიშით, გაზეთის ტრეს-ტის მთავარ კანტორის (რუსთაველის პრ. № 24) მიერ ხელის მო-წერის ფასის მიღების შემდეგ.**

განცხადება გაზეთების კრედიტით მიცემის შესახებ არ იქნება სასურველი, ვინაიდან მხოლოდ ხელის მოწერის ფასის თავის დროზე შეტანის საშუალებით შესაძლებელი იქნება გაზეთების გამო-ცემისათვის გაწეულ ხარჯების დაფარვა.

მხოლოდ ხელის მომწერლების მიერ ხელის მოწერის ფასის თავის დროზე გადახდის საშუალებით და აგრეთვე გაზეთის ტირა-ჟის გადიდებით, გაზეთის ტრესტს შეძლება მიეცემა შეამციროს ფა-სები გაზეთებზე. ამისათვის, ამხანაგებს უნდა ახსოვდეთ, რომ გაზე-თებზე ფასების შემცირება თვით მათზეა დამოკიდებული.

ხელის მოწერა შეიძლება ადგილობრივ საფოსტო დაწესებულებებში, თუ ამ დროისათვის იქ მოეწყობა ხელის მოწერა.

საჭიროა მისამართი აღინიშნოს სისწორით. მისამართის გამოცვლი-სათვის ადგილობრივ ქალაქის მცხოვრებლებს გადახდებათ—10,000 მან., ხოლო სხვა ქალაქებისას—20,000 მან.

5—4

ა დასკალონ, რადგან თუ ოსმა-ნა შემოუტიეს სტამბოლს,—გა-ადდება სამხვთო ომი ყველა მუს-ანურ ქვეყნებში, და კონფლიქტის �ი გადაწყვეტა არც ინგლისის არც საფრანგეთის ინტერესებს შეესაბამება.

ქემალ-ფაშის განცხადება.

ბკოვი, 19 სექტ. „ჩიკაგო ტრი ბ“ თანამშრომელთან საუბარში ალ-ფაშამ განაცხადა: „ჩვენ არ ვდა ინგლისის წინააღმდეგ ბრძო-�გრამამ მან უნდა დაგვიბრუნოს ტანტინეპოლი. თუ ჩვენ ვერ ვლებთ კონსტანტინეპოლის მშვი-ანურ გზით მოპოვებას, იმ შემთ �ში ჩვენ ბრძოლას თავს არ გა-ბებთ. ოსმალეთი მოითხოვს მთე-ლ სათათრეთის ტერიტორიის და-ედგენლობას და ყოველგვარ კა-ულიაციის უარყოფას“.

შეკრულებათა დაურღვევლობა.

ბკოვი, 19 სექტ. ლონდონიდან ბინ ბიან, რომ საფრანგეთი იტალია შეთანხმდნენ გაუ-ონ ქემალს ულტიმატუმი მოთ-ლებით, რათა არ იქნეს დარ-ლი არსებული ხელშეკრულებანი გადასინჯვამდე.

კონსტანტინეპოლში.

ბკოვი. 19 სექტ. ქემალისტები ვენ კონსტანტინეპოლის მიმარ-ებით.

კონსტანტინეპოლში.

ბკოვი. 19 სექტ. კონსტანტინე-ი შესაძლებლად სთვლიან მოკა-ეთა ჯარების წინააღმდეგ აჯან-

ყებას. მოკავშირეთა სამხედრო ხელს უფლებანი ღებულობენ გასაფრთხი-ლებელ ზომებს. ფრაკიიდან მოდის საშიშარი ამბები.

საბერძნეთში

მოსკოვი. 19 სექტ. საბერძნეთის ჯარის კაცები ჰკლავენ ვენიზელოსის მომხრე ოფიცრებს. ვენიზელოსელებს სურდათ შექმნილი მდგომარეობის გა-მოყენება დამოუკიდებელ რესპუბლი-კის შექმნისათვის, ეს მათ ვერ მოა-ხერხეს, ვინაიდან აჯანყებამ ანარქიული ხასიათი მიიღო.

იტალიის პოზიცია.

მოსკოვი. 19 სექტ. ოფიციალური გაზეთი „ტრიბუნა“ ამბობს, რომ იტა-ლია მონაწილეობას არ მიიღებს სამ-ხედრო მოქმედებებში, თუ ეს გამოი-წვევა აღმოსავლეთის საკითხმა.

ამხ. კარახანის ნოტის გამო.

მოსკოვი. 19 სექტ. ახალავს რა რუსეთის ნოტას ახლო აღმოსავლე-თის საკითხის შესახებ „დეილი ტე-ლეგრაფი“ მიუთითებს, რომ კარახა-ნის ნოტა სასარგებლოა იმდენად, რომდენადაც ის ფარად ხდის მოს-კოვის მჭიდრო კავშირს ანგორასთან. „ტაიმსი“ უწოდებს ნოტას თავხე-დურს და მიუთითებს, რომ მან უნდა გაადვილოს ლონდონის და პარიზის შეთანხმება. „დეილი გერალდი“ ნო-ტის გამო ამბობს, რომ ყოველ გვარი ახლო აღმოსავლეთის კონფერენცია გერმანიისა და რუსეთის მონაწილე-ობის გარეშე არ იქნება სრული, ვი ნაიდან შეთანხმება სრუტეების შესა-ხებ, რუსეთის მიერ ხელმოწერილი ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულ-ია.

ანტანტა და გერმანია

ენი. 18 სექტემბერი. ინგლისის ბა ხელმძღვანელმა ფინანსის-ა მოლაპარაკების შემდეგ, რომ-შინაარსი გამოურკვეველია,— შავეს გერმანიის ვალდებულე-ა ზრუნველყოფის წესი, რომე-წარედგინება ბელგიას.

გავენტაინის მიხია.

ბერლინ. 18 სექტემბერი. ჰავასის ტოს ცნობით, გერმანიის სა-ფინო ბანკის დირექტორის გა-ენინ მოლაპარაკება ლონდონ-ამოდენიმედ ღებულობს ოფი-ურ ხასიათს. როგორც სჩანს, ნიის მთავრობა მხარს დაუჭერს

იმ ნაბიჯებს, რომელიც გადადგა გერ-მანიის ფინანსისტებმა.

ამერიკა და გერმანია.

ჰანოვერი. 18 სექტემბერი. ნიუ-იორკიდან მიღებულ ცნობების თა-ნახმად, იქ დაარსდა საზოგადოება; გერმანიის ვალიუტის ამერიკაში არ სებულ მარაგის გერმანიის წარმოე-ბებში მოსათავსებლად.

ჯოიდონი. 18 სექტემბერი. ვა-შინგტონის პალატის წევრმა შეიტა-ნა წინადადება, რომლის თანახმად შეერთებულმა შტატებმა შემდეგში გვერდი არ უნდა აუხვიონ ევროპის პოლიტიკაში მონაწილეობის მი-ღებას.

საბჭოთა რუსეთი და ჩინეთი

ბკოვი, 19 სექტემბერი. საბჭო-სეთის წარმომადგენელმა ჩი-ი ოფემ მიმართა ჩინეთის მთავ-ს მემორანდუმით და მუშურ-ურ მთავრობის წინადადებით, მოწესრიგებულ იქნეს ურთი ება ორთავე სახელმწიფოების ტიკურ და ეკონომიურ თანას-ების საფუძველზე. იოფე წინადა ა აძლევს ჩინეთის მთავრობას ოს მოლაპარაკება ორთავე სა-ხელმწიფოთათვის აუცილებელ საკი-თხების შესახებ, რათა ამ ორ სახელ-მწიფოების შორის დამყარდეს კეთილ მეზობლური ურთიერთობა. ჩინეთის მთავრობამ თავის პასუხში განაცხადა თანხმობა საბჭოთა რუსეთთან მოლა-პარაკების დაწყების შესახებ და მო-ლაპარაკების ადგილად აირჩია პეკი-ნი, რათა მოლაპარაკება დაიწყოს ძლიერ დაჩქარებით.

ჭითელ ნიესპუბლიკეგში

რუსეთი

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯ-დომარის მოადგილე.

მოსკოვი, 19 სექტ. სახალხო კო-მისართა საბჭოს თავმჯდომარის მოა-გილეთ დაინიშნა ამხ. კამენევი.

ამერიკა და რუსეთი

მოსკოვი, 19 სექტ. „იზვესტია“ სწერს: „საბჭოთა მთავრობის პასუხმა შეერთებული შტატების განზრახვაზე სამეურნეო მდგომარეობის შესასწავ-ლად რუსეთში კომისიის გაგზავნის შესახებ გამოიწვია ამერიკის ზოგიერთ წრეებში და გაზეთებში აღშფოთება. ზოგიერთ გაზეთებმა გაიგეს ეს პასუ-ხი როგორც ამერიკისათვის დიდი შეურაცყოფა. წერილის ავტორი მიუ-თითებს, რომ ამერიკის პრესამ, რო-მელიც ცნობილია გადაჭარბების სი-ყვარულით, ამ შემთხვევაში გამარ-ჯვება მოიპოვა. საბჭოთა მთავრობის პასუხი შეიძლება არ მოეწონოს ამე-რიკის პრესას, მაგრამ ამისათვის სრულიად არ არის საჭირო გამოიგო-ნოს რაღაც შეურაცყოფა, რომელსაც ადგილი არ ქონია. რუსეთ ამერიკის დამოკიდებულების საკითხი საკმაოდ სერიოზულია და ღირსია სერიო-ზული ყურადღებისა. მიუთითებს რა იმ ფაქტზე, რომ ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ ამერიკის მთავ-რობა ჯირდაპირ არ გამოსულა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, წე-რილის ავტორი ამბობს, რომ შემდეგ ამერიკამ მონაწილეობა მიიღო ინ-ტერვენციაში. მაშინაც კი, როდესაც მეელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებმა განაახლეს საქმიანი დამოკიდებულება რუსეთთან, ამერიკა განაგრძობს საბ-ჭოთა რუსეთის საწინააღმდეგო ფრონ-ტის ხელმძღვანელობას. ამერიკის დახმარება რუსეთის დამშეულებისა-თვის მისალმების ღირსია არა მარტო მილიონ გლეხობის თვალსაზრისით, რომელიც გადარჩა შიმშილისაგან, არამედ რუსეთ ამერიკის დამოკიდე-ბულების თვალსაზრისითაც, რადგან ეს დახმარება ხელს უწყობდა იმ ბო-როტების დავიწყებას, რომელიც ამე-რიკამ რუსეთის მიმართ ჩაიდინა. რუსე-თის დამხმარე ამერიკელ კომიტეტის აპარატმა, რომელიც მოედო რუსეთის უმეტეს ნაწილს, საშუალება მისცა ამერიკას გარკვეულიყო რუსეთის საქმეებში. მაგრამ ამერიკის მოლოდი-ნი არ გამართლდა. წინაადმდეგ, გე-ნუის და ჰაიგის უძლურება აღსნება უმთავრესად ამერიკის პოლიტიკით. ბელგიის დელეგატ კარტეემ წამოაყენა მიუღებელი მოთხოვნილებანი და პირდაპირ დაიმოწმა ამერიკის ელჩი. ამერიკის წინ. დადგამ რუსეთში ცალმხრივი კომისიის გაგზავნის შე-სახებ, შექმნა რუსეთში ისეთი შთა-ბეჭდილება, რომ, რაღან ამერიკა დაეხმარა რუსეთის დამშეულებს, მას შეუძლია ჩაიდინოს ყველაფერი. მაუ-ხედავად მძიმე ეკონომიურ მდგომა-რეობისა, მოსკოვი ბერლინი არ არის რუსეთ ამერიკის მომავალ და-მოკიდებულების ინტერესებისათვის რუსეთი არ დაუშვებს შეუფერებელ ურთიერთობას. ამერიკის მთავრობა გაცნობილია რუსეთის მდგომარეო-ბასთან სხვა მთავრობებზე უკეთე-სად. საბჭოთა ხელისუფლება ცდი-ლობს ამერიკასთან ხელშეკრულების დადებას, მაგრამ ხელშეკრულება შე-საძლებელია მაშინ მხოლოდ, თუ ამე-რიკა მიხვდება, რომ მისთვისაც ეს ხელშეკრულება გამოსადეგია. ამი-ტომ არ შეიძლება ნაბიჯის გადადგმა დაახლოვებისაკენ ლოზუნგით: „ნუ გრცხვენიან“.

მუშათა ფაკულტეტები.

მოსკოვი. 19 სექტ. 17 სექტემბერს შესრულდა სამი წელი მუშათა ფა-კულტეტის დაარსების დღიდან. მიმ-დინარე წელს საბჭოთა რუსეთში არის 63 მუშათა ფაკულტეტი 29.000 მუშა გლეხთა მამენელებით. აქამდე მუშათა ფაკულტეტი დაამთავრა 5.000 კაცმა. 1923 წლის გამოშვება მუშათა ფაკულტეტის შეადგენს 8 000-მდე კაცს ე. ი. საერთო რიცხ-ვის 25 პროც. მოსკოვის გაზეთებმა უძღვნეს მუშათა ფაკულტებების იუ-ბილეის მთელი რიგი წერილებისა.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

საქონლის შეტანის აკრძალვა.

ჰანოვერი. 18 სექტემბერი. გერმა-ნიის სასურსათო სამინისტრო ამ დღეებში გამოუშვებს ბრძანებას, გერ-მანიაში არა პირველი მოთხოვნილე-ბის პროდუქტების შეტანის აკრძალ-ვის შესახებ.

რკინის გზის ტარიფის ახალი მო-მატება.

ჰანოვერი. 18 სექტემბერი. გერმა-ნიის რკინის გზების სამმართველოს განზრახული აქვს ოქტომბრის ტარი-ფის მომატების შემდეგ, შემოიღოს ახალი მომატება ნოემბრისათვის 100 პროცენტით.

სოციალ-შემოთანხმებლების შორის.

ბორდო. 18 სექტემბერი. დღეს ბერლინში შესდგება მეუმრავლესე სოციალ დემოკრატების და დამოუ-კიდებლების კრება, ორთავე პარტიე-ბის შეერთების პროგრამის გამოსა-მუშავებლად.

ტრედუნიონების კონგრესზე.

მოსკოვი. 18 სექტემბერი. ტრედ-უნიონების კონგრესზე მიღებულია გენერალური საბჭოს პროექტი, რო-მელიც ითვალისწინებს მრეწველობა-ში კონფლიქტების ლიკვიდაციას. თანახმად პროექტისა ყველა კავ-შირები ვალდებული არიან აცნო-ბონ საბჭოს წარმოშობილ კონფლიქ-ტების შესახებ, რათა საბჭომ ჩაე-რიოს შიგ მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ყველა ზომები კონფლიქტის გადასაჭრელად გამოყენებული იქნე-ბა. კამათში აღნიშნეს ამ წინა-დადების რეაქციონური ხასიათი. პროექტი მიიღეს.

საფრანგეთი

მეზღვაურების გაფიცვა.

ბორდო. 18 სექტემბერი. სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა გაფიცვა, სა-მუშაო დღის გადიდების დეკრეტის საწინააღმდეგოდ, უნდა დაწყებული-ყო დილის 8 საათზე. მარსელიდან მიღებული დეპეშები იტყობინებიან, რომ დილის სრულ 8 საათზე საფრა-ნგეთის გემების ყველა ეტლები, რო-მლებიც ნავთსადგურში იმყოფებოდენ გამოვიდნენ ნაპირზე ტ დასტოვეს ნავ-თსადგურში მხოლოდ გემების დასაცა-ვად საჭირო რიცხვი მეზღვაურებისა. ბორდოში, ნანტეში, ლაროშელიეში და ბრესტში ასეთივე განმეორდა.

საფრანგეთის ვალები ამერიკისადმი.

ბერლინი. „ნეიე ფრეიე პრესეს“ ცნობით, საფრანგეთის წარმომადგე-ნელს ამერიკაში პარმანტიეს მისცა შეკითხვა ვალების კონსოლიდაციის ამერიკულმა კომისიამ, თუ რამდენი ხნის განმავლობაში უნდა დაფაროს საფრანგეთმა თავისი ვალები ამერი-კისადმი. პარმანტიემ დეპეშით აცნო-ბა ეს საკითხი პუანკარეს და მიიღო პასუხი: საფრანგეთის მთავრობას იმედ აქვს დაფაროს ყველა ვალები ორი წლის განმავლობაში.

ჩინეთი

სამინისტროს კრიზისი ჩინეთში

ჰანოვერი. 18 სექტემბერი. გადად-გა ჩინეთის მთავრობის ყველა წევ-რები, იმის გამო, რომ პარლამენტმა უარი სთქვა პრემიერ მინისტრად ტანდ-შე ის დამტკიცებაზე.

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი. 19 სექტემბერი. კომინ-ტერნის აღმასკომმა მიმართა ყველა ქვეყნის მუშებს მოწოდებით, რომელ-შიდაც ლაპარაკია თეთრი ტერორის ტალღაზე, რომელიც კვლავ მოედო ბალტიის განაპირა ქვეყნებს. ეს ტე-ტერორი დაიწყო ესტონეთში კინძსე-ნის დახვრეტით. მაგრამ ლატვია და პოლონეთი არ ჩამორჩა ესტონეთს. მოწოდებაში აღნიშნულია მთელი რი-გი ახალ ნხეცურ გამოსვლებისა მუშა-თა კლასის წინააღმდეგ, ლატვიის, პოლონეთის და ესტონეთის ბურჟუა-ზიულ მთავრობების მხრივ.

დასასრულ კომინტერნის აღმასკო-მი მიმართავს ყველა მუშებს მოწოდე-ბით ხმა აღიმაღლონ თეთრი ტერო-რის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირონ ესტონეთის, ლატვიის და პოლონეთის სისხლიდან დაცლილ და ნაწამებ პროლეტარიატს, რომელსაც განმარ-ტოებით არ შეუძლია თავის დაცვა ბურჟუაზიის თავდასხმისაგან, რომელ-საც მხარს უჭერს საერთაშორისო იმ-პერიალიზმი და სოციალ-გამყოფელე-ბის 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალი.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ყრილობა

მოსკოვი, 19 სექტ. 17 სექტემ-ბერს მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ყრილობა. თავმჯდომარე რუდზუტაკი გახსნა ყრილობა მოკლე სიტყვით, რომელ-შიაც იგი მოუწოდებდა ყრილობას პრაქტიკულ მუშაობისაკენ.

ამხ. ტომსკის გააკეთა შემდეგი განცხადება: „ამხანაგებო, ლენინმა პირადად მომანდო მე გაეფმომეცა ყრილობისათვის მხურვალე სალამი და სურვილი წარმატებითი მუშაო-ბისა“. ტომსკის სიტყვები დაიფარა ხანგრძლივი და მეუხარე ტაშით.

ამხ. ლენინის წერილი

შემდეგ გამოაქვეყნეს ამხ. ლენი ნის წერილი ყრილობისადმი: „ძვირ-ფასო ამხანაგებო, მე პირველად ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, მიხდება გამოსვლა, თუმცა წერი-ლობით, ყრილობის წინაშე ნება მა-ბოძეთ ამიტომ განვცხადოთ ჩემი სიტყვა მხურვალე სალამით და მოკ-ლე სიტყვით ჩვენი მრეწველობისა და რესპუბლიკის მდგომარეობის და ამოცანების შესახებ ჩვენი მდგო-მარეობა განსაკუთრებით მძიმეა იმი ტომ, რომ არ არის საშუალებანი ძირითადი კაპიტალის – მანქანების და იარაღების აღსადგენად.

ჩვენთვის არ უნდათ ხელსნის მო-ცემა, ხანამ არ აღვადგენთ კაპიტა-ლისტების და მემამულეების ხაკუთ-რებას. ჩვენ ამას ვერც ჩავიდენთ და არც ჩავიდენთ. რჩება მძიმე და გრძელი გზა—ვაგროვოთ თანდათან ხაშუალებანი და გავადიდოთ ბადა სახადები, რათა თანდათანობით აღ-ვადგინოთ დანგრეული რკინის გზე-ბი, მანქანები და შენობები. მთელ მხოფლიოში ჩვენ გრჩებით განმარ-ტოებულნი, როგორც სახელმწიფო, სადაც მშრომელი გლეხობა, მუშე-ბის ხელმძღვანელებით ამყარებს სოციალიზმს, მტკიცეთ უარყოფს რა კაპიტალისტების ხელმძღვანელობას, რომელნიც ფარავენ თავის სახეს ლამაზი სიტყვებით „დემოკრატიის და თავისუფლების“ შესახებ, ხოლო ხაქმით კი ამყარებენ ერთი მუშა მდიდრების ბატონობას, რომელნიც იბრძვიან ერთმანეთის წინააღმდეგ ახეული მილიონი მშრომელთა და-მონებისათვის. მანამ, სანამ ჩვენ განმარტოებულნი ვართ, ჩვენი მე-ურნეობის აღდგენის ამოცანები არა-ჩვეულებრივი სიმძიმით გვაწვება ხაკუთარ მხრებზე. ხაჭიროა არაჩვე-ულებრივად დავხვიმოთ ყველა მუ-შებისა და გლეხების ძალები, ხაჭი-როა გავაუმჯობესოთ და განვამტკი-ცოთ ჩვენი სახელმწიფოებრივი აპა-რატი, რომელიც ჯერ კიდევ ხუსტ-ია, მშრომელთა მდგომარეობის გა-ხაუმჯობესებლად და ჩვენი მეურ-ნეობის აღსადგენად.

დღე თვითეულმა სახოფლო-კვეთილ-ებაში ჩავარდნილმა შეგნებულმა გლეხმა და მუშამ მოიგონოს ახლო წარსული—კაპიტალისტების და მე-მამულეების ბატონობა. ახლა მო-გონება დაუბრუნებს მას მუშაობის ხალისს და ყველა ძალებით გა-ა ცხოველებს და გააუმჯობესებს მუ-შაობას. ამაშია ერთად ერთი ხსნა მუშურ-გლეხური ხელისუფლებისა!

ყრილობის პასუხი

ყრილობამ უპასუხა ამხ. ლენინს, წერილითვე, რომელშიაც სხვათა-შორის ნათქვამია: „ძვირფასო ვლა-დიმერ ილიიჩო“ დიდი აღტაცებით მოისმინა ყრილობამ თქვენი წერილი. მთელი რუსეთის მუშებთან ერთად ჩვენ გაფაცებით ვადევნებთ თვალ-ყურს თქვენ ჯანმრთელობას. ჩვენ ვითვლიდით დღეებს და საათებს, როდესაც თქვენ ხელახლა დაიკავებ-დით თქვენ ადგილს საბრძოლველ პოსტზე. მხოლოთ ამ აზრით, რომ თქვენ ისევ ჩვენთან ხართ, და რომ ჩვენ ხელახლა დაგინახავთ ჩვენი ქვეყნის მესაჭეთ, ორკეცდება ჩვენი მხნეობა და საბოლოოთ გამარჯვე-ბის რწმენა. ყრილობა ორგანიზაცი-ულ მუშების სახელით გაძლევთ თქვენ საზეიმო აღთქმას, რომელიც წმინდათ იქნება შესრულებული, რომ ჩვენი დ-დი მრეწველობა ახლო მომავალში იქნება აღდგენილი სავსებით და იგი გადა-აკარბებს ომამდე არსებულ მრეწვე-ლობას. მიიღეთ მხურვალე სალამი მთელი მუშათა კლასისაგან. თქვენი გა-მოჯამრთელების სასიხარულო ამბავს ჩვენ გავავრცელებთ ჩვენი რესპუბლი-კის ყოველ კუთხეებში, რომელნიც გვიპასუხებენ გამოძახილით: „ჩვენ გავიმარჯვებთ“. გაუმარჯოს ამხ. ლე-ნინს“.

მილოცვები.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა კო-მინტერნის, პროფინტერნის, რუსეთის კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მისალ-მებანი.

ცხენოსანთა ბრიგადის სახელით, რომლის მეფე არის სრულიად რუს ე-თის პროფკავშირთა საბჭო, ყრილო-ბას მიესალმა ბუდიონი, რომელსაც მეუხარე ტაშით შეეგებენ.

ყრილობამ მიმართა მოწოდებით ყველა ქვეყნის მუშებს, რომელშიაც ძმურ სალამს უკზავნის საერთაშო-რისო პროლეტარიატს, აღნიშნავს რა კაპიტალიზმის შემოტევას აცხადებს, რომ სოციალურ რევოლიუციის გარე-შე არ არის ხსნა. მოწოდება თავ-დება შემდეგი სიტყვებით: „სალა-მი მთელი ქვეყნის დაჩაგრულ და და-მონებულ მუშებს, გაუმარჯოს სო-ციალურ-რევოლიუციას“!

ცალკე მოწოდებით ყრილობამ მი-მართა საფრანგეთის და იტალიის მუშებს.

სრულიად რუსეთის პროფკავ-შირთა საბჭოს ანგარიში.

18 სექტემბრის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს ანგარიში. მოხსენებელი ანდრეევი აღნიშნავს, რომ სრულიად რუსეთის პროფკავ-შირთა ცენტრ. საბჭომ შესძლო მოე-გვარებია პროფესიონალურ მოძრაო-ბის ახალი ამოცანები. თავისუფალმა წევრობამ მოგვცა 5.100.000 წევრი, 8.400.000 წევრის ნაცვლად, რომ-ელიც ითვლებოდა 1921 წლის ივ-ლისში. რიცხვის შემცირების გამო პროფესიონალურ მ-ძრაობას არაფ-რი დაუკარგავს. პროფმოძრაობის აპარატი მოწყობილია ფართო მასე-ბის სამსახურისათვის. ხელფასის საკითხის მოსაწესრიგებლად, სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენ. საბ-ჭომ აწარმოვა ხელფასის გადიდების პოლიტიკა, მაგრამ ამავე დროს მხედ-ველობაში მიიღო სახელმწიფოს რე-სურსები. სრულიად რუსეთის პროფ-კავშირთა საბჭომ მიაღწია იმას, რომ არც ერთი კონცესია არ იქნა გაცე-მული კავშირების გარეშე. კულტუ-რული მუშაობა გამოიხატა უმაღლეს შკოლის პროლეტარიზაციაში და პროფესიონალურ განათლების გა-ვრცელებაში. მოხსენების შესახებ მი-ღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც იწონებს სრულიად რუ-ეთის პროფ კავშირთა საბჭოს მოქმედებას.

სრ. რუსეთის კომპარტიის ცე-კას მისალმება.

შემდეგ სრულიად რუსეთის კომ-პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ზინოვიევი, რომელიც აღნიშნავს, რომ საბჭოთა რესპუბლიკა შეიქნა მსოფლიოში უდიდესი სახელმწიფოდ მთელი რიგი ფაქტებისა ადასტურებს ამ გარემოებას. რამდენადაც ძლიერი არ უნდა იყოს საბჭოთა რესპუბლი-კის ეკონომიური მდგომარეობა, მაინც იგი იმდენად განმტკიცებულია, რომ შინაურ ხელშეკრულებებს არავისთან არ დადებს. მუშათა კლასის მატე-რიალური მდგომარეობა, ეჭვს გარე-შეა, გაუმჯობესდა. რეალური ხელ-ფასი გაიზარდა საშუალოდ 100 პრო-ცენტამდე, მაშინ როდესაც ბურჟუა-ზიულ ქვეყნებში მშრომელთა მდგომ-არეობა უარესდება. არასოდეს პროფკავშირებს ასეთი წარმატე-ბით არ მიუღწევიათ შრომის ნა-ყოფიერების გადიდებისათვის, რო-გორც დღეს. მუშათა ხელისუფლება ხელიხელ ჩაკიდებული მიდის პროფ-კავშირებთან ერთად. ახალმა პოლი-ტიკამ პროფესიონალურ მოძრაობის სფეროში სასურველი ნაყოფი გამოი-ღო.

ზინოვიევმა სხვათა შორის, აღნი-შნა, რომ პროფკავშირებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მეურ-ნეობის წინაალმდეგ ბრძოლაში.

დასკვნაში ამხ. ზინოვიევმა სთქვა: „უკანასკნელმა წელმა განამტკიცა რუ-ეთის კომპარტია და პროფკავშირები. ყველაზე დიდი დაბრკოლებანი გადალახულია. კიდევ ერთი ორი მო-სავალი და ჩვენ ნაპირზე გავალთ. საერთაშორისო კაპიტალი ჩქარი ნა-ბიჯით ეშვება ქვემოთ, ჩვენ ნელის ნაბიჯით მივდივართ წინ, მომავალი ჩვენ გვეკუთვნის“.

შრომის სახ. კომისარის მოხსენება.

საღამოს სხდომაზე შრომის სახ. კომისარიატის მუშაობის შესახებ მო-ხსენება გააკეთა შმიდტმა. მოხსენე-ბელი შეჩერდა შრომის სახალხო კო-მისარიატის როლზე ახალ პირობებ-ში. შრომის სახ. კომისარიატმა უარ-ჰყო მობილიზაციის და ძალდატანე-ბის მეთოდები და ასრულებს ამ ჟა-მად სახელმწიფო შუამავლის როლს. პროფკავშირები შრომის ბირჟის კომი-ტეტების საშუალებით ჩაბმული არი-ან მუშა ძალის განაწილების მუშაო-ბაში, რაც განსაკუთრებითი მნიშვნე-ლოვანია უმუშევართა რიცხვის ზრდის დროს. შრომის დაცვის სფეროში შრომის სახ. კომისარიატი სცდილობს დააწესოს მოთხოვნილებათა მტკიცე მინიმუმი, რომელიც სასტიკად უნდა გატარდეს ცხოვრებაში. გაძლიერე-ბულია შრომის დაცვის ინსპექციის მუშაობა. შრომის სახ. კომისარიატი თავის ამოცანად სთვლის პროფკავ-შირებისათვის დახმარების გაწევას შემარიგებელ ორგანიზაციების მო-წყობის საქმეში სამედიატორო საჩი-ვრების განსახილველად.

მოხსენების შესახებ იქნა მიღებუ-ლი რეზოლიუცია, რომელიც ურჩევს პროფკავშირებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა შრომის სახ. კომისა-რიატის მუშაობაში, განსაკუთრებით შრომის ბირჟის მუშაობაში, უმუშე-ვრობის წინაალმდეგ ბრძოლის გა-ძლიერების მიზნით.

სხდომის შეწყვეტის შემდეგ ყრი-ლობამ მოისმინა ამხ. ტომსკის მო-ხსენება პროფესიონალურ მოძრაობის შედეგების და პერსპექტივების შე-სახებ.

ტფილისის ქალ. საბჭოს პლენუმი

ქემალისტების გამარჯვების შესახებ.

(18 სექტემბრის სხდომაზე მიღებული რეზოლიუცია).

მოისმინა რა ამხ. ვირაპის მოხსე-ნება ოსმალეთ საბერძნეთის ომის შე-სახებ, ტფილისის მუშათა და წითელ-არმიელების დეპუტატების საბჭოს პლენუმი მხურვალე სალამს უგზავნის თავისუფლებისათვის მებრძოლთ. ოს-მალეთის ჯარების გამარჯვება ბერ-ძნების იმპერიალისტურ ჯარებზე, აღრმავებს წინაალმდეგობას ანტან-ტის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, რაც, ასუსტებს რა მტერს, საშუალებას აძლევს უფრო ჩქარა და ადვილად დამთავრდეს გამარჯვებით ოსმალეთის ხალხის დიდი ბრძოლა. ანტანტის ცდა ბალკანეთში ახალი სისხლის ღვრით განმტკიცოს თავი-სი მდგომარეობა ახლო-აღმოსავლეთ-ში, გამოაშკარავებს კაპიტალისტურ ევროპის რეაქციონურ და კაცობამიო-ბის ბუნებას, რითაც განმტკიცებული იქნება აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხთა რევოლიუციონური შეგნება და ნებისყოფა. მხოლოდ მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური კავში-რით, საბჭოთა სახელმწიფოებთან კოლონიების დამონებული ხალხები და კერძოთ, ოსმალეთის ხალხი, მიაღ-წევს ევროპის მტაცებელ კაპიტალი-საგან საბოლოო განთავისუფლებას.

გაუმარჯოს რევოლიუციონურ ოს-მალეთის ხალხს?

გაუმარჯოს დაჩაგრულ აღმოსავ-ლეთის განთავისუფლებას?

ქრონიკა

სასწავლებლებში სწავლის დაწყება. სახალხო განათლების კო-მისარიატის ცირკულარული განკარ-გულების თანახმად სასწავლებლებში მეცადინეობა დაიწყება 2 ოქტომ-ბერს.

მუშა ძალის მოძრაობა. 15 სექტემბერს თბილისის შრომის ბირ-ჟაზე გამოცხადდა 657 უმუშევარი, აქედან 308 მამაკაცი და 349 ქალი, ხელახლა გატარდა რეგისტრაციაში 174 უმუშევარი, აქედან 115 მამაკაცი და 59 ქალი, მუშა ძალის მოთხოვნი-ლება იყო 39, აქედან 31 მამაკაცი და 8 ქალისა, ხოლო გაიგზავნა სამუ-შაოზე 44 უმუშევარი, ამაში შედიან 36 მამაკაცი და 8 ქალი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სახადილო, განთავისუფლებულია კო-მუნალური სამსახურისათვის 50 პრო-ცენტიან გადასახადისაგან.

სახალხო სახლი. ქალაქის აღ-მასრულებელ კომიტეტმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა სახალხო გა-ნათლების კომისარიატის წინაშე სა-სახალხო სახლის ქალაქის აღმასკო-მის გამგებლობაში გადაცემის შესა-ხებ.

დაიკარგა მოწმობები ზაქარია დიმიტრის ძე ედორაშვილის სახელზე ავტოტრამოტიდან და პროფკავშირი-დან მიცემული. გაუქმებულად ჩაით-ვალოს.

— **დაიკარგა** პირადობის მოწმობა აგრაფენა სირიას სახელზე, მიცემული მე-19 საბჭოთა აფთიაქიდან ამა წ. 19 მაისს, № 11, ჩაითვალოს გაუქმე-ბულათ.

ხელოვნება

— **სახალხო განათლების კომისა-რი კანდელაკი პროვინციებში.** სახ. განათლების კომისარი დ. კანდელა-კი, მიქაბერიძის და კომპოზ. მ. ბა-ლანჩივაძის თანხლებით გეგმაზავრა საქართველოს პროვინციებში სახალ-ხო განათლების საქმეების სარევი-ზიოთ და ადგილობრივ გასაცნობათ. მის მოვალეობას შეასრულებს მახ. მ. ორახელაშვილი.

— **ბალტმეიხტერი ბალანჩივაძე** ამ ჟამად პეტერბურგში დიდ ყურად-ღებას იქცევს ახალგაზრდა ბალეტის არტისტი ბალანჩივაძე, შვილი კომ-პოზიტორ ბალანჩივაძისა, რომელიც, რუს

ციის შესახებ რუსეთიდან, უკვე დამთავრებულია. მოკლე ხანში მოხდება თვით სიძველეთა გადმოტანა.

— **სამუსიკო სასწავლებლები პროვინციაში.** სახ. განათლების კომისარიატის დასტურით, მომავალ წლიდან სამუსიკო სასწავლებლები გაიხსნება სამტრედიაში და ოზურგეთში.

— **მელიტონ ბალანჩივაძის ახალი სამუსიკო ნაწერები.** კომპოზიტორმა მელიტონ ბალანჩივაძემ დასწერა ტრიო სერენადა: ტენორის, ვიოლენჩელის და ფორტოპიანოსთვის.

— **გაზ. „ბახტრიონი".** გამოვიდა გაზ. „ბახტრიონის" მე-11 ნომერი. გაზეთში მოთავსებულია ინტერვიუ ცნობილ რეჟისორ კ. მარჯანიშვილთან, ანატოლ ფრანსის წერილი ფრანგებს, წერილი ანასტასია ერისთავ-ხოშტარიაზე, ნიკო ფიროსმანი—ლადო გუდიაშვილის, დიღმის მინდორი (ესკიზი) ირრადიონ სონღულის, ოქროს ჭრელი არწივი (ლექსი) ს. შანშიაშვილის და სხ.

— **ექსკურსია ალავერდში.** საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტი შეუდგა კახეთში ალავერდობის დღესასწაულზე დასასწრებლათ ექსკურსიის მოწყობას.

— **შალვა დადიანის იუბილე.** მთავარ სახელოვნო კომიტეტის დადგენილებით ახლო ხანში გამართული იქნება შალვა დადიანის 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად იუბილე.

— **კომპოზიტორი ქალის თამარ ვახვახიშვილი.** ქართულ სამუსიკო სასწავლებლის დირექტორმა, კომპოზიტორმა თამარ ვახვახიშვილმა დასწერა ფორტოპიანოს კონცერტი, რომელსაც თვითონ შეასრულებს სახელმწიფო ოპერის მიმდინარე სეზონში. ამავე სეზონში დაიდგმება მისი „სპარსული პანტომიმა".

— **არტურ ლეისტის იუბილე.** ორშაბათს, 18 სექტემბერს ხელოვანთა სასახლეში, შესდგა ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტის ინიციატორობით არტურ ლეისტის საიუბილეო კომისიის სხდომა. სხდომაზე, რომელსაც დაესწრო სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებების წარმომადგენელნი, დაადგინეს ოქტომბრის პირველ რიცხვებში, გაიმართოს გერმანელ მეჭურჭლის არტურ ლეისტის 40 წლის საქართველოში მოღვაწეობის აღსანიშნავად იუბილე. სხდომამ აირჩია საიუბილეო კომიტეტი, რომელშიც შედიან: კ. მაყაშვილი, ვ. გუნია, დოქტორ ესსერ, გერმანელთა საბჭოს თავმჯდომარე მორინგი, ნინო ნაკაშიძე, ი. გომართელი, ელისაბედ ორბელიანი, ცაცა დარახველიძე, ი. ელიაშვილი, პროფ. კ. კეკელიძე, გრიგოლ რობაქიძე, ა. წულუკიძე, დიმიტრი არაყიშვილი და ია ეკალაძე. შეერთებული კრება კომიტეტისა და საიუბილეო კომისიის დანიშნულია, ხელოვანთა სასახლეში, ხუთშაბათს, 21 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე.

— **ვალერიან გუნია ქუთაისის დასის ხელმძღვანელათ.** ქუთაისის განათლების განყოფილებამ გადაწყვეტილი აქვს ქუთაისის დასის ხელმძღვანელათ მიიწვიოს დამსახურებული მსახიობი ვ. გუნია, რომელთანაც უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას.

— **გაზ. „ლომისი".** გამოვ და გაზ. „ლომისის" მე-3 ნომერი შემდეგი შინაარსით: ქართული რეპერტუარი, ფელეტონი—კ. გამსახურდიასი, ლექსები—ი. მოსაშვილის, ტ. გრანელის. ბიბლიოგრაფია, ქრონიკა.

— **იუმორისტული ჟურნალი „ხუმარა".** გამოვიდა იუმორისტული ჟურნალი „ხუმარას" მეორე ნომერი კარიკატურული კლიშეებით და სატირული ლექსებით.

— **სახალხო სახლი.** დღეს, სახალხო სახლში, წარმოდგენილი იქნება რუსულ ენაზე: „საბედისწერო წლოვანება". ნ. ა. ბუდაევიჩის და გ. დავიდოვის მონაწილეობით.

— **სეირნობა კონცერტი ქართულ კლუბში.** დღეს, ქართულ კლუბში, შრომის არტელი უმუშევარ ქალთა სასარგებლოთ გამართავს დიდ სეირნობა—კონცერტს.

პარტიული ცხოვრება

კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სპეციალურ კომისიის მიერ

იქნება გამორკვეული სტაჟი იმ არალეგალურათ მოშუშავე აბხანაგებისა, რომლებიც ირიცხებოდენ რ. ს. დ. მ. პ. (ბოლ.) 1917 წლამდე, რის გამო ევალება ყველა ასეთ ამხანაგებს გატარდენ რეგისტრაციაში ც. კ. საალრიცხო ქვეგანყ. და წარმოადგინონ საბუთები მათი პარტიაში შესვლის დროის შესახებ.

რეგისტრაცია სწარმოებს 9—3 და 6—8 საათამდის ყოველ დღე.

(3—3) ც. კ. საალრიცხვო სტატისტიკურ განყ. გამგე **ა. ლიცინოვი.**

განცხადება

ის აბხანაგები, რომელთაც სურთ შევიდენ მუშათა ფაკულტეტზე არა უგვიანეს 22 სექტემბრისა უნდა გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ანკეტის შესავსებად და განცხადების წარმოსადგენად.

იმ აბხანაგებმაც, რომელთაც უკვე შეიტანეს განცხადება მუშათა ფაკულტეტზე ჩარიცხვის შესახებ, აგრეთვე უნდა შეავსონ ტ. კ. საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილების ანკეტები.

მეცადინეობა იქნება რუსულ და ქართულ ენებზე.

ც. კ. საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილების გამგე—**ეხსენი.**

3—2

ხუთშაბათს, 21 სექტემბერს, შუადღის 12 საათზე საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში გაიმართება

პოლიტ-წრეების ხელმძღვანელთა, რაიონების ორგანიზატორების და რაიონულ პარტიულ უკოლების ლექტორთა თათბირი

დღის წესრიგი:

1) მუშაობის შედეგები: 2) რაიონების ორგანიზატორების ანგარიში პოლიტ-წრეების მუშაობის შესახებ.

კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **ვ. ეხსენი.**

საქ. კომპარტიის სენაკის მაზრის თეკლათის თემის ორგანიზ. კანდიდატ თენგიზი დათას-ძე **ხუხიას**

დაეკარგა პარტ-კანდიდატობის დროებითი მოწმობა, მოცემული სენაკის სამაზრო პარტიული კომიტეტის მიერ № 830 ა | წ. 26 მაისის თარიღით.

ხსენებული მოწმობა ცხადდება გაუქმებულად.

ქვემოდ დასახელებული აბხანაგები ვალდებული არიან გამოცხადდენ 20 სექტემბერს, დღის 12 საათზე

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების განკარგულებაში

საიდანაც ისინი გაიგზავნებიან ცენტრალურ საბჭოთა პარტიულ სკოლაში: 1) თალაკვაძე, 2) ბერძენიშვილი, 3) ორმოცაძე, 4) გველესიანი, 5) ირემაშვილი, 6) ბადრიძე, 7) დინიამა, 8) ნორდანოვა, 9) რომანოვა, 10) აბრამოვა, 11) მელიქიძე, 12) მელაშვილი, 13) ანდრონიკაშვილი.

ბურიის პარტორგანიზაციების მდგომარეობა აგვისტოს თვის განმავლობაში.

(**ბურიის სამაზკომის ანგარიში**).

ოზურგეთის მაზრაში არსებობს 40 პარტიული ორგანიზაცია, რომლებიც მჭიდროთ არიან ერთი მეორესთან შეკავშირებული. ბურიის სამაზრო კომიტეტმა პირველ ივლისიდან, თანახმად ცეკას განკარგულებისა, შემოიღო ინსტრუქტორობითი სისტემა, რის მიხედვით ბურია არის დაყოფილი 12 რაიონათ, სადაც დანიშნულია ინსტრუქტორ-ორგანიზატორები. თვეში ერთხელ ხდება ინსტრუქტორთა თათბირი, სადაც ყველა თემიდან აკეთებენ მოხსენებას თუ რა მდგომარეობაშია თემკომი, მოაქვთ ინფორმაცია და ბურიის კომიტეტიდან ღებულობენ ყოველგვარ მუშაობის დირექტივებს. დისციპლინა და სულიერი მდგომარეობა საშუალოა. განხეთქილება არ არსებობს.

პრინციპიალური განსხვავება ორგანიზაციებს შორის არ არსებობს.

სამაზრო პარტკომს უთანხმოება უმაღლეს და ქვემდებარე ორგანიზაციებთან არ ქონია.

სამაზკომის მიერ ქვემდებარე ორგანიზაციის დაშლის შემთხვევა არ ყოფილა.

პარტკონფერენცია საანგარიშო თვეში არ შემდგარა. ინსტრუქტორების დაპასუხისმგებელ ამხანაგების თათბირი შესდგა 28 აგვისტოს.—სამაზკომის სხდომა შესდგა ერთხელ.

ქვემდებარე ორგანიზაციებთან არსებობს კარგი კავშირი. კომიტეტიდან ღებულობენ ყოველგვარ დარიგებას და დახმარებას, რამდენადაც შესაძლებელია.

ქვემდებარე ორგანიზაციებს ეძლევა მუშაობის გეგმა მაზკომიდან. კომუჯრედებში სწარმოებს მუშაობა და მეცადინეობა რამდენადაც ხელს შეუწყობს არსებული მდგომარეობა.

ქალაქ ოზურგეთში პარტიული დღე დანიშნულია ყოველ პარასკევობით, ხოლო თემებში კი უქმე დღეებში. შეჯგუფება კომუჯრედებისა ზოგიერთ შემთხვევაში სწარმოებს.

პარტიულ ორგანიზაციებს სჭირდება კარგი მუშაკები, როგორც არიან ინსტრუქტორები, აგიტატორ-პროპაგანდისტები და სხვა, რომლებსაც ჩვენ მოკლებული ვართ.

მაზრაში პარტიული ამხანაგების გადაჯგუფება დამთავრებულია.

უბრალო პარტიული ამხანაგების საპასუხისმგებლო საქმეებზე წამოყენება წარმოებს; შედეგი საშუალოა.

საანგარიშო თვეში ცეკას მიერ გამოგზავნილი პასუხისმგებელი ამხანაგები იყვნენ ერთხელ, რომლებმაც გაუწიეს კანტროლი ყველა დაწესებულებებს.

პარტმობილიზაცია საანგარიშო თვეში არ ჩატარებულა.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას სახალხო განათლების და პროფკავშირის კულტურულ განყოფილებასთან მჭიდრო კავშირი აქვს. შეერთებული თათბირი ზოგიერთ შემთხვევაში იმართება. საგიტაციო კამპანიებს აწყობს თვით მაზკომი.

პოლიტიკური აღზრდა პარტიის წევრებისა, მაგ. პარტშკოლაში, არ სწარმოებს, ხოლო იაჩიკებში სწარმოებს მაკადონობა. უპარტიო გლეხები მიტინგ კრებებზე ღებულობენ მონაწილეობას და იქ არკვევენ ამა თუ იმ საკითხს.

პარტიის თითქმის ყველა წევრები გურიის ორგანიზაციისა წერა კითხვას მცოდნეა.

ადგილობრივი სამაზკომის და აღმასკომის საშუალებით გამოდის გაზეთი „კომუნარი", უმეტეს რაიონს ყავს კორესპოდენტი.

კომკავშირის წარმომადგენელი ეწწრება სამაზკომის კრებას და აგრეთვე კომკავშირის კრებებს. ეწწრება სამაზკომის წარმომადგენელი. ყოველივე დახმარებას, რამდენადაც შესაძლებელია, კომკავშირი ღებულობს მაზკომიდან.

განწყობილება კომკავშირს და პარტიას შორის კარგია.

პარტიის ყველა წევრები 20 წლამდი იმყოფება კომკავშირში.

სამაზრო პროფბიუროს შემადგენლობაში 6 კომუნისტია, 1 თანამგრძნობი, 1 მემარჯვენე და 1 მემარცხენე ესერი.

სამაზკომის გავლენა კომკავშირზე კარგია, ყოველივე ამა თუ იმ საკითხს სამაზკომის დაუკითხავათ ვერ სწყვეტენ.

სამაზკომის და აღმასკომის შორის კავშირი კარგია. პრეზიდიუმში როგორც ერთში, ისე მეორეში შედიან სამ-სამი წევრი, ყველა კომუნისტები.

მაზრის აღმასკომის განყოფილებების გამგეები, გარდა იურიდიულ განყოფილებისა—კომუნისტები.

აღმასკომის და მის უმთავრეს განყოფილებების მიერ საანგარიშო თვეში არ ყოფილა წარმოდგენილი ანგარიშები.

უპარტიო მასსები საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში არიან ჩაბმული შრომის ბეგრის სახით, როგორც არის რკინის-გზის გაყვანა, ხიდების გაკეთება, გზის შეკეთება და სხ.

მაზრის მეშუშათა კოოპერატივის გამგეობაში შედიან 5 კაცი: 2 კომუნისტი, 1 მემარცხენე ესერი, 2 მენშევიკი

კოოპერატივებში კომპარტიის ფრაქცია არ არსებობს.

სამაზკომი და აღმასკომი მუშათა კოოპერატივს უწევს კანტროლს.

მაზრის პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენდა სასარგებლოდ არის, ჩვენი პრესტიჟის ამაღლება ხდება არა მარტო აგიტაციის საშუალებით, არამედ დახმარებით დამშეულებზე, ნატანებ-ოზურგეთ რკ. გზ. გაყვანის დაწყებით და სხ.. სიმშილობის გამო გამოწვეული კრიზისი ამ 1 თვეში სრულიად გაივლის. ჯერ ჯერობით მოსავალს კარგი პირი უჭირს, რითაც თავს მეხი ეცემა ჩვენს მოწინააღმდეგეებს.

ბურ. სამაზ. კომ. პასუხისმგებელი მდივანი **დოლიძე.**

პროვინციები

ნოქალაქევის რაიონი

(სენაკის მაზრა)

11 დან 14 სექტემბრამდე ა. წ. ნოქალაქევის რაიპარტკომის პასუხისმგებელი მდივნის მიერ ჩამოვლილ იქნა ნოქალაქევის რაიონში შემავალი ნოქალაქევის, ლიმარამის, ფოცხოს და უშაფათის თემები, ყველა თემებში მოწვეულ იქნა ს. კ. პარტიის და ა. კ. კ. გიორგიანებული კრებები. კრებას ყველგან დაესწრნენ ამხანაგები უკლებლივ. კრებებზე კეთდებოდა მოხსენებები მიმდინარე მომენტზე და სხვა საჭირო საკითხებზე, აგრეთვე განხილულ და განმარტებულ იქნა როგორც ცენტრალური, აგრეთვე სამაზრო კომიტეტის მიერ გამოცემული სხვადასხვა ცირკულიარები. უნდა ითქვას, როგორც ს. კ. პარტიას, აგრეთვე ა. კ. კავშირის ნოქალაქევის რაიონის ორგანიზაციები სდგანან სასურველ დონეზე, ასრულებენ ყოველივე მათზე დამოკიდებულ საქმეებს პირნათლად, როგორც პარტიულ აგრეთვე საბჭოთა აღმშენებლობის სფეროში. აგვისტოს პირველ რიცხვებიდან შინამშენებლობის კომპანია, რასაც ხელმძღვანელობას უწევს ადგ. ხელისუფლებებთან ერთად, ადგილ. ორგანიზაციები, კარგად მიმდინარეობს. აწარმოებენ სათემო გზების და ბოგირების შეკეთებას, გაყავთ ახალი გზები და სხვ.

სასურველად მიმდინარეობს აგრეთვე სკოლების და სხვა დაწესებულებების შენობების შეკეთება, ზოგიერთ თემებმა, სადაც საჭირო იყო, შეიძინეს ახალი ხის შენობები ზემოხსენებული დაწესებულებებისათვის.

ამ მოკლე დროში დაამთავრებენ მთელ რაიონში მნიშვნელოვან გზების და ბოგირების შეკეთება-გაყვანას. აგრეთვე დამთავრდება რემონტი სკოლების შენობების ამ მოკლე დროში, რითაც საშუალება მიეცემა მოწაფეებს განაგრძონ თავისუფლად მეცადინეობა. მოხსენებულ რაიონში წელს თესვის კამპანია სასურველად ჩატარდა.

დათესილ იქნა ისეთი მიწები, რომლის დამუშავებაც ოცი წლის განმავლობაში არ მოხსნია, მოსალოდნელი იყო სულ კარგი მოსავალი, მაგრამ წვიმებმა და ქარმა საგრძნობლად დააზიანა. ასეთი სტიქიური უბედურების შემდეგ მაინც შეგვძლია ვსთქვათ, რომ მთელს რაიონში საშუალო მოსავალი უზრუნველყოფილია, რის აკრეფაც ათი თუთხეტი დღის შემდეგ დაიწყება.

ნოქალაქევის რაიონში რჩება ერთი დიდი საქმე გასაკეთებელი: ხიდების გაკეთება ტარჩენსა, გერძმსა და კარგალელზე. ამ ხიდების გაკეთება განზრახული აქვს სამაზრო აღმასკომს. ძლიერ კარგი იქნება თუ დაჩქარებით მიიღებს ზომებს ამ საქმის მოსაგვარებლად სამაზრო აღმასკომი.

ალ. ჯოჯუა.

ძ. ხოკი

კვირას, სამ სექტემბერს ნაშუადღევს 3—4 საათზე, ხონიდან სამტრედიაში მიმავალ დილეჟანს, რომელსაც მიყავდა მგზავრები კოდარაში (ხუთი ვერსითაა დაშორებული ხონიდან) თავს დაესხნენ ბოროტ მომქმედნი, რომლებმაც სროლით გააჩერეს დილეჟანი და მგზავრებს წაართვეს რამოდენიმე მილიონი მან., რის შემდეგ ბოროტ-მომქმედნი მიიმალენ. გაგებულია ამის შესახებ აღმინისტრაციამ და პარტიამ, მისივე მიეღო ენერგიული ზომები რასაც მომქმედთა აღმოსაჩენად დატუსაღებულ იქნა რამოდენიმე არა საიმედო პირები.

დაკავებულნი აღმოჩნდნენ ბოროტ-მომქმედნი. და მერე ისიც ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც გატყდნენ თავიანთ ბოროტ-მოქმედებაში. მათ აღმოაჩნდათ ნაძარცვი ფული. ასეთი აღმოჩენა საზოგადოების გულში ადმინისტრაციისა და პარტიის მიმართ დიდ მადლობას იწვევს.

დეე! იცოდენ ამ ცხოვრების პარაზიტებმა, რომ საბჭოთა მთავრობა გასაქანს არ მისცემს მათ ბანდიტურ მოქმედებას და მყისვე გააკრავს სამარცხვინო ბოძზე.

ეს მათ კარგად უნდა დაიმახსოვრონ!

განკონი

ს. თელადგორი.

კვირას, 27 აგვისტოს 1922 წ. სოფ. თელადგორში ამხ. ერ. ბილანიშვილის მონაწილეობით გამართულ იქნა დიდი საჯარო წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნა—„სოფლის ფერშალი" და „ქართველი სტუდენტები". ბოლოს გაიმართა ცეკვა. წარმოდგენა იყო უფასო. ხალხი ბლომად დაეს წრო. საზოგადოება დიდი კმაყოფილი დარჩა მეორე დღეს 28 აგვისტოს სოფ. წინარეხშიც გაიმართა დიდი საღამო. გამეორებულ იყო „სოფლის ფერშალი" და „ქართველი სტუდენტები". წარმოდგენის დაწყებამდის წარმოთქმული იყო სიტყვა ამხ. მერიბაშვილის მიერ, თუ რა მიზნით ამართება დღეს წარმოდგენა. წარმოდგენას დაესწრო აუარებელი ხალხი, რომელიც კმაყოფილი დარჩა.

მთელი შემოსავალი იყო 700.000 მან. აქედან კავთისხევის თეატრის სასარგებლოდ გადაცემულ იქნა 165 000 მ. შემდეგ, ყველა ხარჯების გარდა, დარჩა 115.000 მან., რომელიც გადმომეცა მე, თელადგორის სკოლის სასარგებლოთ.

წარმოდგენას ხელმძღვანელობდა ამხ. ერ. ბილანიშვილი. დიდ მადლობას სწირავს სოფ. თელადგორის და წინარეხის საზოგადოება ამხ. ერ. ბილანიშვილს და ყველა თანამშრომლებს.

თელადგორის სკოლის
გამგე: **მ ქვლივიძე**

მთავროგის მოქმედებანი და განკარგულებანი

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლეს სატარიფო საბჭოს

დადგენილება № 5.

იმ წარმოებებში და დაწესებულებებში, განაკვეთის განსაზღვრისათვის, სადაც დადებულია კოლექტიური ხელშეკრულება, სექტემბრის თვის განაკვეთის საფუძვლად ქალაქ ტფილისისათვის, დაწესებულია შემდეგი ბაზრის საშუალო ფასები.

№№ რიგ.	პროდუქტების დასახელება.	რაოდენობა.	ფასი ერთეულის ადგილობრივ ბონებით, ათასებში. ენკენისთვის მე 2 ნახევრის.	საშუალო სექტემბრისათვის.
1	2	3	4	5
1.	პური	1 გირ.	8	8
2.	ყართოფილი	1 „	3.5	3.5
3	ლობიო	1 „	9	9
4	ბრინჯი	1 „	18	18
5.	კომბოსტო	1 „	4	3
6.	ხორცი	1 „	30	30
7.	ზეთი	1 „	45	45
8.	ერბო	1 „	75	70
9.	შაქარი (ფხვნილ.)	1 „	30	26
10.	მარილი	1 „	2	2
11.	თევზი	1 „	20	18.25
12.	ჩაი	1/4 „	40	40

უმაღლეს სატარიფო საბჭოს თავმჯდომარე **ა. მიქაძე.**
მდივანი **ვ. ბოკუჩავა.**

საგანგებო ყურადღებას

გულდამწვარ დაკოდილი მშობლები **იახონ** და **თამარ** **გაბილაია**, თავის ნათესავთ, ამხანაგებსა და მეგობრებს აცნობებენ, რომ ტრაგიკულ პ რობებში (რაც ამ დღეებში გამოქვეყნდება) უდროოთ გარდაცვლილის მათი უძვირფასესი შვილიკოს

ოქროპირ-გულიკოს

დასაფლავება, მიხი „დაბალზამებისა" და მისთვის აკლდამის გაკეთების გამო, გადადებულია და დრო დასაფლავებისა ცალკე იქნება გამოცხადებული.

გულწრფელი და მხურვალე მადლობა იმათ, ვინც მათ პატივი სცენ კვირას, 17 სექტემბერს, მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურაში სადაც „დაბალზამებული" გულიკო განისვენებს ხოლმე, პატივსაცემ მათ გამოცხადებით.

(448—2—1)

დაკარგე ბავშვი სასტუმრო „ზავი"-დგან **შალიკო ტურაბელიძე**, ვთხოვ მნახველს გამოაცხადოს მეათე რაიონში, ან ალექსანდროვის ქუჩა სახლი № 53 მომნახველი მიიღებს საჩუქარს. ბავშის ხნოვანობა 6 წლ. შავგვრემანი. **მიხა კერვალიძე.**

(325—3—3)

კვირას 24 სექტემბერს, დილის 10 საათზე

ქალ. აღმასკომის ლარგაზე

დანიშნულია

ქალ. თბ. აღმასრულებელ კომიტ. მუშ. მოსამსახურეთა ეკონომ. საზოგადოებ.

რწმუნებულთა კრება

დღის წესრიგი:

1. ანგარიში გამგეობის 1921 წ. მოქმედების შესახებ და მოხსენ. სარევიზიო კომისიის. 2. მოკლე მიმოხილვა გამგეობის 1922 წ. მოქმედ. შესახებ. 3. დამოკიდებულება მთლიან მუშათა კოოპერატივთან. 4. გამგ. ბისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები. 5. მიმდინარე კითხვები.

თუ დანიშნულ დროს არ გამოცხადდა კანონიერი რიცხვი რწმუნებულებისა 11 საათზე ინიშნება განმეორებითი კრება, რომელიც კანონიერ ჩაითვლება დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავათ.

(450—2—1)

გამგეობა.

ელექტროენის, რენტგენის და სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიზეიულ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორდანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

(304—25—8)

გაზეთის ტრესტის პროვინციალური კონტრ-აგენტების

საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც მათ საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყოვნებლივ დაჭკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიიცემა პასუხისგებაში.

(0—25)

ცენტრალური საბინაო-საღამენებლო კოოპერატივი

«ცენტროშენი» („Центростройъ") მოთავსებულია 15 სექტემბრიდან სერგის ქუჩაზე № 8 სახლში, სახალხო მეორეობის უმაღლეს საბჭოს საღამშენებლო განყოფილებასთან. «ცენტროშენი» იძლევა ყოველგვარ ცნობებს საბინაო კოოპერაციის შესახებ (წესდებას, დებულებებს და სტრუქციებს).

კისრულობს თავის თავზე საშინაო ამხანაგობების ორგანიზაციას.

«ცენტროშენი» სახალხო მეორნეობის უმაღლეს საბჭოს საღამშენებლო განყოფილებასთან შეთანხმებით ადგენს ტიპიურ დარიგებას, ადგენს სარჯთაღრიცხვას და სხვა.

ჩაწერა „ცენტროშენის" წევრად შეიძლება ყოველ დღე 1—3 საათამდე.

თავმჯდომარე **ვ. რობლინი.**
მდივანი **ი. პრეობრაჟენსკი.**

(კრ. 334.—3—1.)

თბილისი

ტვირთზიდვის გადასახადის გამტარებელი კომისია

წინანდელ დადგენილებათა ფასის ცვლელად

თბილისის ქალ. აღმასკომის

საგალდებულო დადგენილების № 6 § 1 თანახმად ამით აცხადებს, რომ ა. წ. 17 სექტემბრიდან ძველ ლაქანი, რომელზედაც ჭრელდება ტვირთზიდვის დასახადი:

500.000 მან. მაგიერ უნდა გადიხდ
დონ 550.000 მან.
1.000.000 მ. მაგიერად 1.100.000
1.200.000 მ. „ 1.320 000

ეს დადგენილება ძალაშია განსაკუთრებულ გამოცემამდე.

ბასუხის მგებელი მდივანი
1—1